# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 23 ივლისი. 2016 წ. №136 (8028), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.




## ზეწოლა პაპუაშვილურად

## ვინ აწვება ნეტავი?!



**– საკონსტიტუციო სასამართლოს ვადამილეულმა თავმჯდომარემ, ჩვენი მოსამართლეები ხელისუფლებისგან ზეწოლას განიცდიანო! – უაპელაციოდ განაცხადა. არადა, სააკაშვილის რეჟიმთან ქვეწოლაში ბევრჯერ შემჩნეული გიორგი პაპუაშვილის მოადგილეებმა ერთხმად უარყვეს ეს ფანტაზიური ზეწოლა....**

**თუ გიორგი პაპუაშვილის ეს საეჭვო ინფორმაცია არ დადასტურდა, იგი, უფლებამოსილების ვადის გასვლისთანავე, კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯოს!**

## 1999 წლის 23 ივლისს კოსმოსში გაფრინდა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი


4

**პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი – გასაშლელი რეფლექტორი, რომლის მაქსიმალური გაბარიტი 6,42 მეტრია, შექმნეს, დააპროექტეს, დაამზადეს და წინასაფრენოსნოდ გამოსცადეს საქართველოში ქართველებმა.**

### ბიზნესმენი ანდრო ჩხიკვიშვილი:

## „არანაირ თვითმკვლელობას არ ვაპირებ!“



**სამართალმა პური ჭამა**

2-3



## ⑤ ფული თუ პატიოსნება...

**მოყვარეს პირში უქრახე!..**

## როგორ დაიკარგა ზაქარია ფალიაშვილის 20 სიმღერა...


6

# თეა წულუკიანის წარბების გამო „რუსთავი-2“ გააკრიტიკეს

**ქვეყანაში დაძაბული წინასაარჩევნო პერიოდია. ამ ფონზე ყველაზე აუცილებელია იყოს ობიექტური, თავისუფალი, დამოუკიდებელი მედია, რათა საზოგადოებამ შეძლოს ინფორმაციის არჩევანის გაკეთება. როგორ მიაწვდის მოქალაქეებს ინფორმაციას პრესა, რადიო თუ ტელევიზია, ეს ბევრად განსაზღვრავს მომავალი არჩევნების ბედს.**

თუ რა ვითარებაა ახლა საქართველოში ამ მიმართულებით, რამდენად პლურალისტურია გარემო და როგორ ასახავს მედია ქვეყნის მაჯისცემას, ამაზე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ ანგარიში გამოაქვეყნა. მედიის მიერ წინასაარჩევნო პროცესების გაშუქებაში პროგრესი შეიმჩნევა, – ასეთია ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით მიმდინარე 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიამონიტორინგის პირველი შედეგი.

უკვე ხუთი არჩევნებია, რაც მონიტორინგი ხორციელდება და ყოველ ჯერზე შედარებით უკეთესი ვითარება შეიმჩნევა, თუმცა, რა თქმა უნდა, მეტნაკლებად შენარჩუნებულია ტენდენციურობის ხარისხიც.

* * *

**როგორ აშუქებენ ტელეჟურნალისტები წინასაარჩევნო გარემოს, ამის შესახებ კვლევა „ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიის“ ექსპერტმა გიორგი მგელაძემ წარმოადგინა.**

### როგორ შუქდება წინასაარჩევნო პროცესები მედიაში



მთავრობის საქმიანობა ყველაზე უარყოფითად შუქდება „რუსთავი-2“-ზე და „ობიექტივზე“. ამ კუთხით ნეიტრალურობის მაღალი ხარისხი აქვთ საზოგადოებრივ მაუწყებელსა და „იმედს“, ხოლო ყველაზე დადებითად შუქდება „GDS“-ზე. მთავრობის საქმიანობა „მაესტროზე“ – 27 პროცენტით უარყოფითად გაშუქდა, „კავკასიაზე“ – 23 პროცენტით, „TV1“-ზე – 34 პროცენტით. რაც შეეხება პარტია „ქართული ოცნების“ გაშუქებას, „რუსთავი-2“-მა დადებითად გააშუქა – 0 პროცენტით (ანუ გამოდის, რომ „ოცნებაზე“ კარგი არც ერთ ჟურნალისტს არ დასცდენია), ნეგატიურად გაშუქება 48 პროცენტია!, ხოლო ნეიტრალურად – 75 პროცენტი!!! „ტაბულამ“ – ასევე მხოლოდ 2 პროცენტით გააშუქა დადებითად „ოცნების“ მუშაობა. სამაგიეროდ, ნაციონალური მოძრაობა ყველაზე დადებითი კუთხით გაშუქდა სწორედ „რუსთავი-2“-ზე. ყველაზე უარყოფითად კი „მაესტროსა“ და „GDS“-ზე...

კვლევაში მოხვდა ბალანსის დარღვევის საკითხები, ანუ, როცა ცალმხრივად არის წარმოჩენილი ვითარება, როცა არ ჩანს ორივე მხარის პოზიცია. „რუსთავი-2“-ის შაბათის საინფორმაციო გადაცემა, რომელიც გიორგი გაბუნიას მიჰყავს, ყველაზე მეტად არის გაკრიტიკებული მესამე სექტორის მიერ.

**„იუმორის, სატირის გამოყენება საინფორმაციო გამოშვებაში არ შეიძლება, – აღნიშნა გიორგი მგელაძემ, – გიორგი გაბუნიამ ერთ-ერთ საინფორმაციოში აჩვენა მოქმედი მთავრობის წარმომადგენლების ფოტოკოლაჟი, დამუშავებული ფოტოშოპში. მაგალითად, თეა წულუკიანი სქელი მუქი წარბებით, რაც ცინიზმი და დაცინვაა!“ აბსოლუტური ბალანსი არ არსებობს, მაგრამ ჟურნალისტმა უნდა სცადოს და ასახოს ორივე მხარის პოზიცია,** – ნათქვამია რეკომენდაციაში.

იხ. 5 გვ.

**ტრაგედია**

## მსხვერპლი კიდევ ერთხელ გვაფრთხილებს!

მსხვერპლით დასრულდა ქუთაისი-სამტრედიის შემოვლით გზაზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევა: ორი მსუბუქი ავტომობილის შეჯახებას ერთი ოჯახის სამი წევრი შეეწირა (ცოლ-ქმარი ნუცა კალანდარია და გიორგი პაპასკირი, ასევე მათი ნათესავი ანი ჩხაიძე).

ტრაგედიის შედეგად დაშავდნენ საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების ლიდერი მერაბ კვირიკაშვილი, ქვეყნის ჩემპიონ „ლელოს“ მოთამაშე გიორგი ლომინაძე და მათი მეუღლეები. ისინი ქუთაისისა და სამტრედიის საავადმყოფოებში არიან გადაყვანილი.

ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო ამბობს, რომ ავარიის შედეგად დაშავებული მორაგბეებისთვის სისხლის ყველა საჭირო პროდუქტის უზრუნველყოფას პირადად აკონტროლებს.

როგორც მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავებული ერთი ადამიანის მდგომარეობა საშუალო სიმძიმისაა, დანარჩენი სამის კი მძიმე რჩება.

სერგეენკომ სამძიმარი გამოუცხადა ავტოავარიის შედეგად გარდაცვლილების ოჯახებს და მათ ახლობლებს (ამ სამძიმარს უერთდება ჩვენი რედაქციაც).

# ბიზნესმენი ანდრო ჩხიკვიშვილი: „არანაირ თვითმკვლელობას არ ვაპირებ!“

**ყოველგვარ სამართალს მოკლებულ აუარება ქმედებას შორის, რომელიც ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებამ და სამართალდამცავ ორგანოთა მისმა მორჩილმა ზოგიერთმა მაღალჩინოსანმა სამამულო ბიზნესის წარმატებული წარმომადგენლების მიმართ ჩაიდინა, მრავლადაა დიდად გახმაურებული, რეზონანსული, საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი საქმე, რომელთა თაობაზე მასმედიის სხვადასხვა საშუალებაში არაერთგზის ყოფილა ლაპარაკი. მათ შორის ერთ-ერთი საგულისხმოა ცნობილი ბიზნესმენის ანდრო ჩხიკვიშვილის ამბავი, რომელმაც თავის ძმასთან დევი (მიხეილ) ჩხიკვიშვილთან ერთად, 1995 წელს საქართველოში შვეიცარიულ-ამერიკული კომპანიის „სიერა ოილ ენთერფრაიზის“ წარმომადგენლობა დააფუძნა.**

თავდაპირველად საქმე კარგად მიდიოდა, უცხოური კომპანიის წარმომადგენლობას ქვეყანაში, კერძოდ, გარდაბანში, მეტად საჭირო ენერგოშემცველი – მაზუთი შემოჰქონდა, რომელსაც 1997-1998 წლებში საქართველოს სამთავრობო სტრუქტურები ყიდულობდნენ. თუმცა შემდეგ, ქვეყანაში შექმნილმა უმძიმესმა ფინანსურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ ამ საქმეშიც იჩინა თავი, მთავრობამ შემოტანილი პროდუქციის საფასურის გადახდა პარტნიორი კომპანიისთვის ველარ შეძლო, რის გამოც იგი იძულებული გახდა 2000 წლიდან მაზუთის შემოტანა შეეწყვიტა და საქართველოში წარმომადგენლობაც დაეხურა. კუთვნილი ფულის მისაღებად, კომპანია „სიერა ოილ ენთერფრაიზმა“ საქართველოს მთავრობის მიმართ ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში სარჩელი შეიტანა, რომელიც დაკმაყოფილდა კიდეც, თუმცა კი, მას დაკისრებული ვალდებულება ვალის გადახდის თაობაზე არ შეუსრულებია. სწორედ ამის გამო იყო, რომ 2006 წლისთვის ქვეყნის მთავრობას, კომპანიის მიმართ ვადაგადაცილებულ ვალზე პროცენტების დარიცხვების გათვალისწინებით, დაახლოებით 7 მილიონი დოლარის ვალი დაუგროვდა.

ამდენად, 2000 წლის შემდეგ ძმებ ჩხიკვიშვილებს კომპანია „სიერა ოილ ენთერპრაიზთან“ საქმიანი ურთიერთობა აღარ ჰქონიათ.

თუ რატომ ვახსენებთ მკითხველს წლების წინანადელ მომხდარ ამბავს, რომელიც შემდგომ უაღრესად დრამატულ მოვლენათა ერთგვარი სამწუხარო პრელუდია გახდა, ამის თაობაზე ქვემოთ მოგახსენებთ.

ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე, როცა ქვეყანას უკიდურესად უჭირდა და ეკონომიკა სასწრაფოდ იყო ფეხზე წამოსაყენებელი, მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდის წევრები ყველა ღონეს ხმარობდნენ საქართველოში უცხოური კაპიტალის მოსაზიდად, რისთვისაც, ცხადია, უმნიშვნელოვანესი წინაპირობა ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა იყო. ამას კი, მრავალ სხვა მიზეზთან ერთად, ხელს დიდად უშლიდა ამერიკულ-შვეიცარიული ნავთობკომპანიის მიმართ წარმოშობილი მრავალმილიონიანი დავალიანება. ამ და კიდევ ბევრი სხვა ვალის გასასტუმრებელი სახსრები მთავრობას არ ჰქონდა. ამდენად, ქვეყნისთვის მომხიბლავი საინვესტიციო იმიჯის შესაქმნელად ნაციონალების ხელისუფლებამ სხვა ხერხების გამოყენება გადაწყვიტა, რა საქმიანობასაც მაშინდელმა გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა დიდი მონდომებით მოკიდა ხელი.


ცნობილი ბიზნესმენის

დაანონსებული თვითმკვლელობა?!

„იძულებული გავხდები, უკიდურესი ზომა მივიღო და პროკურატურის შენობის წინ თავი მოვიკლა!“

ირაკლი შოთაძე

ქრონიკა+

N25 (156) 12.07.2016 ფასი 2 ლარი

ანდრო ჩხიკვიშვილი

ჩვენს საზოგადოებას კარგად ახსოვს ებრაელ ბიზნესმენთა გახმაურებული ამბავი, რომელთა ფული მთავრობას ასევე მართებდა და რომლებიც, ადეიშვილის მეცადინეობით, საქართველოში მოტყუებით ჩამოიყვანეს, ბათუმში მოლაპარაკების დროს დააპატიმრეს და იძულებით ვალის „ჩამოწერას“ ითხოვდნენ. დიდი საერთაშორისო რეზონანსის გამო ამ მზაკვრული ჩანაფიქრის განხორციელება ვერ შეძლეს, თუმცა კი, თავისთავად ამ მეთოდის გამოყენება ჯერ ბატონ ანდრო ჩხიკვიშვილის კომპანია „სიერა ოილ ენთერფრაიზის“ წარმომადგენლებზე სცადეს. 2006 წელს ამ კომპანიის ვალთან დაკავშირებით მაშინდელ გენერალურ პროკურატურაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის კ. ჭუმბაძის ხელმძღვანელობით ჯგუფი შეიქმნა, რომლის მიზანი ფულის გადახდისგან თავის არიდება იყო.

ჩვენს საზოგადოებას კარგად ახსოვს ებრაელ ბიზნესმენთა გახმაურებული ამბავი, რომელთა ფული მთავრობას ასევე მართებდა და რომლებიც, ადეიშვილის მეცადინეობით, საქართველოში მოტყუებით ჩამოიყვანეს, ბათუმში მოლაპარაკების დროს დააპატიმრეს და იძულებით ვალის „ჩამოწერას“ ითხოვდნენ. დიდი საერთაშორისო რეზონანსის გამო ამ მზაკვრული ჩანაფიქრის განხორციელება ვერ შეძლეს, თუმცა კი, თავისთავად ამ მეთოდის გამოყენება ჯერ ბატონ ანდრო ჩხიკვიშვილის კომპანია „სიერა ოილ ენთერფრაიზის“ წარმომადგენლებზე სცადეს. 2006 წელს ამ კომპანიის ვალთან დაკავშირებით მაშინდელ გენერალურ პროკურატურაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის კ. ჭუმბაძის ხელმძღვანელობით ჯგუფი შეიქმნა, რომლის მიზანი ფულის გადახდისგან თავის არიდება იყო.

ძმებ ჩხიკვიშვილების ცხოვრების დრამატული ეტაპიც სწორედ ამის შემდეგ დაიწყო: სხვადასხვა მეთოდით მრავალგზის უშედეგო დაშანტაჟების შემდეგ, 2006 წლის 18 ოქტომბერს ბიზნესმენი ანდრო ჩხიკვიშვილი დააპატიმრეს. არადა, ადეიშვილის ხელქვეითთა წადილის შესახებ ბატონმა ანდრომ მშვენივრად იცოდა, ვინაიდან წინასწარ დაკითხვების დროს გამომძიებელ კ. ჭუმბაძეს მისთვის ზ. ადეიშვილის მუქარა გადაუცია, რომ თუკი ძმები თავიანთ შვეიცარიელ პარტნიორებს ვალის მოთხოვნაზე ხელს არ აეღებინებდნენ, ორივეს დიდი ხნით პატიმრობა ელოდა, ოღონდ უკვე არა „სიერა ოილ ენთერფრაიზთან“ დაკავშირებით, არამედ მათ საოჯახო ბიზნესთან დაკავშირებულ სხვა, კერძოდ, სს „კედართან“ დაკავშირებულ საქმეზე.

ამ ამბის დეტალებს იმიტომ არ ვულრმავდებით, პატივცემულო მკითხველო, რომ ეს არ გახლავთ წინამდებარე პუბლიკაციის მიზეზი, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ „კედარის“ მოტყუებულმა მეპატრონეებმა ძმებმა ჩხიკვიშვილებმა სამართლებრივი დავა წამოიწყეს გრანტის გამცემ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, რომელიც უზენაეს სასამართლოში მოიგეს კიდეც, თუმცა კი, უსამართლობასთან მრავალწლიანმა ბრძოლამ სამეწარმეო საქმიანობას იმხელა ზიანი მიაყენა, რომ კომპანიის გაყიდვა მოუწიათ. 2006 წელს კი, გაყალბებული საექსპერტო დასკვნის წყალობით, ეს საქმე ადეიშვილის ხელქვეითებმა კვლავ წამოატივტივეს და ანდრო ჩხიკვიშვილს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. არადა, ეს მოხდა დამოუკიდებელ ექსპერტთა საერთაშორისო კომისიის (SCS), ასევე უკრაინელი სპეციალისტების დასკვნის მიუხედავად, რომლებითაც „კედარის“ მეპატრონეთა მიერ ეკონომიკის სამინისტროსთვის წაყენებული პრეტენზიები სავსებით სამართლიანი იყო.

ბატონ ანდრო ჩხიკვიშვილის თქმით, სსიპ (საჯარო სამართლის იურიდიული პირის) ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტმა, გაყალბებული დასკვნის ავტორმა ნ. ბელქანიამ 2013 წელს საჯაროდ აღიარა, რომ იმ არასწორი დასკვნის დადება მას

# მართალი კაცი ქვაზე მაგარია

**საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნაცმოძრაობის ხელისუფლებამ უამრავი წარმატებული ბიზნესმენი დააქცია, ავად სახსენებელი „ნაშუაღამევი“ ეგრეთ წოდებული „ნებაყოფლობითი“ საპროცესო შეთანხმებით ქონება წაართვა. არც ეს აკმარა და დილეგშიც ჩააგდო, პატიოსანი კაცის სახელი შეულახა. ხელისუფლების სათავეში ქართული ოცნების მოსვლის შემდეგ უამრავმა ჩვენმა თანამოქალაქემ ხელისუფლებას მიმართა ჩადენილი უკანონობის აღმოსაფხვრელად, რის შემდეგ კანონიერების ზეობისა და სამართლიანობის აღდგენის პროცესი დაიწყო, მაგრამ მისი ერთობ მდორე ტემპი ბევრის სავსებით მართებულ გულისწყრომას იმსახურებს. თუმცა კი, წინამდებარე მასალის გაცნობის შემდეგ, ვფიქრობთ, სკეპტიკოსებს აზრი ნაწილობრივ მაინც შეეცვლებათ და სამართლიანობის იმედს გაუღვივებს.**

**— გენერალურ პროკურატურაში ჩემს მიმართ ჩადენილ უკანონობასა და პირადი განცხადების საფუძველზე, სამართლიანობის აღდგენის დეპარტამენტში გამოძიება დაიწყო, რომელიც ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს და სადღეისოდ დასრულების ფაზაშია, — გვითხრა მან. — ხაზგასმით მინდა, აღვნიშნო, რომ იგი კანონიერების სრული დაცვით, კანონის უზენაესობის პრინციპით და, რაც წლების მანძილზე ამდენი უსამართლობის განცდის შემდეგ ჩემთვის განსაკუთრებით ფასეულია, საქმისადმი კეთილსინდისიერი, უბრალოდ ადამიანური მიდგომით გამოირჩევა, რომელსაც ჩემს მიმართ როგორც უშუალოდ გამოძიების ჩამტარებლები, ასევე დეპარტამენტისა და გენპროკურატურის ხელმძღვანელობა იჩენენ. ეს გარემოება უდიდესი მადლიერების გრძნობას იწვევს ჩემშიც, ჩემი ოჯახის წევრებშიც.**




ადეიშვილის უწყების წარმომადგენლებმა აიძულეს.

თუმცა კი, საქმე არც ამით დასრულდა და უკვე სასჯელმისჯილი ანდრო ჩხიკვიშვილის ძმა პროკურატურის გამომძიებელმა აიძულა შვეიცარიაში წასულიყო და იქაური პარტნიორები ვალის საპროცენტო თანხის აღებაზე უარის თქმაზე დაეყოლიებინა. შვეიცარიაში მიღწეული შეთანხმების დეტალებზე აღარ შევჩერდებით და მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ 7 მილიონის ნაცვლად საქართველოს მთავრობას მხოლოდ 1,5 მილიონი უნდა გადაეხადა, თუმცა ნაცმოძრაობის ხელისუფლებამ არც ეს ინება, ადეიშვილმა კი ვალის დაფარვა ახლა უკვე ჩხიკვიშვილების ოჯახს მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევში ბატონი ანდრო ციხიდან ცოცხალი არ გამოვიდოდა. საბოლოო ანგარიშით, საქართველოს მაინც მოუწია „სიერა ოილ ენთერფრაიზის“ ვალის გასტუმრება წლების მანძილზე დარიცხულ პროცენტებთან ერთად, რაც სახელმწიფო ბიუჯეტს, ალა-

**2012 წელს, მას შემდგე, რაც „ცოცხებიანი ვარდოსნების“ პარპაშს ქვეყანაში ბოლო მოეღო, მათი ხელისუფლების მიერ მრავალ გულმოკლულ, შვილმკვდარ, ჯანმრთელობაშერყეულ, დაჩაგრულ ადამიანს სამართლიანობის, პატიოსანი კაცის სახელის აღდგენის იმედი მიეცა. მათ შორის, ცხადია, ბატონი ანდრო ჩხიკვიშვილიც გახლდათ, რომელმაც საკუთარი უდანაშაულობის დასამტკიცებლად გამმართლებელი მტკიცებულებების თავმოყრა დაიწყო და შესაბამისი განცხადებით მთავარ პროკურატურასაც მიმართა. რამდენიმე დღის წინათ ბატონი ანდრო რედაქციაში გვესტუმრა, თავისი ამბავი დაწვრილებით გვიამბო და მოსვლის მიზეზიც აგვიხსნა.**

ლად გადასახდელთან შედარებით, ოთხჯერ უფრო ძვირი დაუჯდა(!!).

ციხეში უკანონო პატიმრობაში მყოფ ბატონ ანდრო ჩხიკვიშვილზე პროკურატურის ზეწოლა გრძელდებოდა, რასაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება მოჰყვა, რის შედეგად, ხუთწლიანი ტანჯვა-ვაების მერე, იგი იძულებული გახდა, ხელი მოეწერა საპროცესო შეთანხმებაზე და 2011 წელს საპატიმროდან გათავისუფლდა.

ბიზნესმენ ანდრო ჩხიკვიშვილის ამ საშინელი ეპოპეის მოყოლა იქნებ ცოტა გაგვიგრძელდა, რადგან წერილის მთავარ სათქმელს ახლაღა მივადექით, მაგრამ, დარწმუნებული ვართ, რომ ამის გარეშე პირდაპირ იმის თქმა, რასაც ქვემოთ მოგახსენებთ, აზრს დაკარგავდა.

2012 წელს, მას შემდგე, რაც „ცოცხებიანი ვარდოსნების“ პარპაშს ქვეყანაში ბოლო მოეღო, მათი ხელისუფლების მიერ მრავალ გულმოკლულ, შვილმკვდარ, ჯანმრთელობაშერყეულ, დაჩაგრულ ადამიანს სამართლიანობის, პატიოსანი კაცის სახელის აღდგენის იმედი მიეცა. მათ შორის, ცხადია, ბატონი ანდრო ჩხიკვიშვილიც გახლდათ, რომელმაც საკუთარი უდანაშაულობის დასამტკიცებლად გამმართლებელი მტკიცებულებების თავმოყრა დაიწყო და შესაბამისი განცხადებით მთავარ პროკურატურასაც მიმართა. რამდენიმე დღის წინათ ბატონი ანდრო რედაქციაში გვესტუმრა, თავისი ამბავი დაწვრილებით გვიამბო და მოსვლის მიზეზიც აგვიხსნა.

— გენერალურ პროკურატურაში ჩემს მიმართ ჩადენილ უკანონობასა და პირადი განცხადების საფუძველზე, სამართლიანობის აღდგენის დეპარტამენტში გამოძიება დაიწყო, რომელიც ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს და სადღეისოდ დასრულების ფაზაშია, — გვითხრა მან. — ხაზგასმით მინდა, აღვნიშნო, რომ იგი კანონიერების სრული დაცვით, კანონის უზენაესობის პრინციპით და, რაც წლების მანძილზე ამდენი უსამართლობის განცდის შემდეგ ჩემთვის განსაკუთრებით ფასეულია, საქმისადმი კეთილსინდისიერი, უბრალოდ ადამიანური მიდგომით გამოირჩევა, რომელსაც ჩემს მიმართ როგორც უშუალოდ გამოძიების ჩამტარებლები, ასევე სამართლიანობის აღდგენის დეპარტამენტისა და გენპროკურატურის ხელმძღვანელობა იჩენენ. ეს გარემოება უდიდესი მადლიერების გრძნობას იწვევს ჩემშიც, ჩემი ოჯახის წევრებშიც. ასეთ ვითარებაში კი, დიდად გაკვირვებული დავრჩი გაზეთ „ქრონიკა („-ის 12.07.2016 №25-ში ჟურნალისტ თამარ როსტიაშვილის სტატიით „ცნობილი ბიზნესმენის დაანონსებული თვითმკვლელობა?!“, რომელშიც, კერძოდ, ასეთი პასაჟია:

**„— თვითმკვლელობით რატომ იმუქრებით?**

**— არ ვიმუქრები, მაგრამ სხვა გამოსავალი არა მაქვს. უდიდეს საქმეთა გამომძიებლის კახა ჭუმბაძის ზეწოლის შედეგად თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე ირაკლი ცინცაძემ. როგორც ვიცი, კახა ჭუმბაძე დღეს საქართველოს პროკურატურაში იგივე პოსტს იკავებს, ხოლო პროკურორი გიორგი მიქაია მთაწმინდა-კრწანისის პროკურორია.**

**70 წლის კაცი ვარ, ინსულინდამოკიდებული ავადმყოფი. მინდა, ჩემს შვილებს და ოჯახს პატიოსანი კაცის სახელი დავუტოვო და არა თაღლითის, როგორც ადეიშვილის პროკურატურამ გამომიყვანა და რომლის კურსსაც აგრძელებენ დღევანდელ პროკურატურაში მოკალათებული დანარჩენი კადრები. ისინი იგივე პოლიტიკას ატარებენ არა მარტო ჩემს მიმართ. თუ აღნიშნულ საჩივარს თქვენი მხრიდან სათანადო რეაგირება არ მიეცემა, იძულებული გავხდები, უკიდურესი ზომა მივიღო და პროკურატურის შენობის წინ თვითლიკვიდაციის აქტი ჩავატარო.**

**— ამას სერიოზულად ამბობთ?**

**— დიახ. მერწმუნეთ, სიტყვებს ტყუილად ჰაერში არ ვისვრი. აღნიშნული საჩივარი პროკურატურაში ჩაბარების თარიღის მითითებით დაეგზავნება ყველა მედიასაშუალებას ჩემი თვითმკლელობის შემდეგ, სადაც მითითებული იქნება, რომ მე პროკურატურას წერილი გადავეცი ბევრად ადრე, სანამ ამ უკიდურეს ზომას მივმართავდი“.**

— აუცილებლად მინდა, აღვნიშნო, რომ ჟურნალისტ თამარ როსტიაშვილს ჩემს ამბავთან დაკავშირებით რამდენიმე სავსებით ობიექტური წერილი აქვს გამოქვეყნებული, რომელთა მიმართ არანაირი შენიშვნა არა მაქვს. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ჟურნალისტ თამარ როსტიაშვილთან ბოლო წლინახევრის განმავლობაში არანაირი ურთიერთობა არ მქონია, — განაგრძობს ბატონი ანდრო. — ჩვენი ბოლო სატელეფონო საუბარი 8 ივლისს, პარასკევ დღეს შედგა და სულ 2-3 წუთი თუ გაგრძელდა, რა დროსაც რაიმე საგაზეთო პუბლიკაციის გამოქვეყნებაზე ლაპარაკი საერთოდ არ ყოფილა, 12 ივნისს კი, სამშაბათ დღეს, გაზეთ „ქრონიკა +“-ში ეს მასალა ჩემს დაუკითხავად გამოქვეყნდა, რომელიც აქტუალური, სულ მცირე, წლინახევრის წინათ იყო, და ამ ამბავმა ძალიან გამაკვირვა.

**ბატონ ანდრო ჩხიკვიშვილის თქმით, სსიპ (საჯარო სამართლის იურიდიული პირის) ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტმა, გაყალბებული დასკვნის ავტორმა ნ. ბელქანიამ 2013 წელს საჯაროდ აღიარა, რომ იმ არასწორი დასკვნის დადება მას ადეიშვილის უწყების წარმომადგენლებმა აიძულეს.**

**ოთარ ტურაბელიძე**

# არაგვის ველიდან – უსასრულობამდე



## 1999 წლის 23 ივლისს კოსმოსში გაფრინდა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი

● პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი – გასაშლელი რეფლექტორი, რომლის მაქსიმალური გაბარიტი 6,42 მეტრია, შექმნეს, დააპროექტეს, დაამზადეს და წინასაფრენოსნოდ გამოსცადეს საქართველოში ქართველებმა.

● კოსმოსური ობიექტის შექმნის პრინციპები შემუშავდა, ექსპერიმენტული კვლევები ჩატარდა, აწყობის ტექნოლოგიური ციკლი განისაზღვრა და გამოიცადა საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის მცხეთის სასტენდო კომპლექსში, რომელიც არაგვის ველზე, სოფელ საგურამოსთან მდებარეობს და რომელსაც XX საუკუნის 80-90-იან წლებში ანალოგი არ გააჩნდა მსოფლიოში.

● კოსმოსური ობიექტის პროექტი და სასტენდო წინასაფრენოსნო გამოცდები განხორციელდა საქართველოში – საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის ძალისხმევით.

● კოსმოსური ობიექტი დამზადდა თბილისის საავიაციო ქარხანაში, სადაც ჩატარდა ობიექტის საქარხნო გამოცდებიც.

● კოსმოსური ობიექტის დაპროექტების, დამზადების, სასტენდო გამოცდების, შემდეგ მისი ორბიტაზე გაყვანის და ღია კოსმოსურ სივრცეში გამოცდების ფინანსური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა განახორციელა, მცხეთაში რეგისტრირებულმა საერთაშორისო კომპანია „საქართველოს პოლიტექნიკურმა ინტელექტმა“.

● პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორია აკადემიკოსი, გენერალ-მაიორი ელგუჯა მეძმარიაშვილი.

● 1999 წლის 16 ივლისს – კოსმოსური ხომალდის ორბიტაზე გასაყვანად, რომელშიც განთავსებული იყო რეფლექტორის დაკეცილი, სატრანსპორტო პაკეტი, კოსმოდრომ „ბაიკონურიდან“ აფრინდა რაკეტა-მატარებელი.



● 1993 წლის 18 ივლისს კოსმოსური ხომალდი შეუპირაპირდა ორბიტულ სადგურს.

● 1999 წლის 19 ივლისს კოსმოსური გასაშლელი რეფლექტორის დაკეცილი პაკეტი, რომლის დიამეტრი 0,6 მეტრი იყო, სიმაღლე – 1,2 მეტრი, მასა კი 34 კგ., კოსმონავტებმა კოსმოსური ხომალდიდან ორბიტულ სადგურ „მირში“ გადაიტანეს.

● 1999 წლის 23-28 ივლისს ღია კოსმოსურ სივრცეში, ორბიტულ სადგურზე, კოსმოსური პროგრამა „რეფლექტორის“ შესაბამისად, გაიშალა და გამოიცადა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი.

● კოსმოსური პროგრამის წარმატებით დამთავრების შემდეგ, 1999 წლის 28 ივლისს, რეფლექტორი ჩამოსცილდა ორბიტულ სადგურს და დედამიწის ირგვლივ დამოუკიდებელ ორბიტაზე დაიწყო მოძრაობა.

● პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ყოველმხრივი მომსახურება, მათ შორის სრულმასშტაბიანი მექანიკური გამოცდები, ორბიტულ სადგურზე უზრუნველყო ინტერნაციონალურმა ეკიპაჟმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ კოსმონავტები ვიქტორ მიხეილის ძე აფანასიევი, სერგეი ვასილის ძე ავდეევი და ასტრონავტი, ბრიგადის გენერალი ჟან-პიერ ენერიე.

● პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი კოსმონავტიკის განვითარების შესახებ საზღვარგარეთის ქრესტომათიულ გამოცემებში, სამეცნიერო-ტექნიკურ ლიტერატურასა და ოფიციალურ დოკუმენტებში აღიარებულია პრიორიტეტული მიმართულების დასაწყისად კოსმოსურ ტექნოლოგიებში.

● პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ორბიტაზე გაყვანის და წარმატებული გამოცდის თარიღი და განხორციელების ფაქტი შეტანილია კოსმოსის ათვისების უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ქრონიკათა ჩამონათვალში.

● საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, სახელმწიფო ჯილდოებით აღინიშნა პირველი ქართული კოსმოსური კონსტრუქციის „რეფლექტორის“ შემქმნელებისა და კოსმოსში ჩატარებული ექსპერიმენტის მონაწილეების ღვაწლი.

● გამოიცა საფოსტო მარკები, რომლებზეც გამოსახულია ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი ორბიტულ სადგურზე და ღია კოსმოსურ სივრცეში ფრენის დროს.

● **საქართველოში ყოველი წლის 23 ივლისი დაწესებულია „პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დღედ“.**

# ფული თუ პატიოსნება...

**თავისუფლებამოპოვებულ საქართველოში საარჩევნოდ თითქმის ყველა სლოგანი გამოვიყენეთ თვინიერ სათაურად გამოტანილისა. შეესაბამება თუ არა იგი დროსა და სინამდვილეს? ვფიქრობთ, დიახაც რომ პასუხობს საზოგადოებრივ განწყობას, რადგან ფულის, თანაც დიდი ფულის ცდუნებამ, ბარე ორს დაუბნელა არა მხოლოდ თვალები, არამედ გონებაც.**

„ოცნების“ წინამორბედი მთავრობა რომ შაქარი იყოო, სინდისთან დამეგობრებული კაცი ვერ იტყვის ამას, მაგრამ მიუხედავად თავისი სიშლეგისა, აკეთებდა კიდეც.

აგერ მეოთხე წელია, ამათგან მხოლოდ ის გვესმის, რომ მათი წინამორბედები იყვნენ: ავკაცები, მპარავები, კაცთმოძულენი, ავაზაკები და ასე შემდეგ... კი, ბატონო, დასტური გვითქვამს, სწორედ მაგ თვისებათა გამო შევაქციეთ ზურგი იმათ და შეჩვეულ ჭირს, შეუსრულებელი დაპირებების მომცემი მეოცნებეთა თქვენი კოალიცია ვამჯობინეთ. დიახ, თქვენგან უკეთესს მოველოდით და იმიტომაც მოვისროლეთ ისინი.

შემდეგ?.. გაუთავებელი შეხსენება იმისა, რომ მათი წინამორბედნი უფრო ცუდები იყვნენ. კი, ჩემო ბატონო, იყვნენ, იყვნენ, იყვნენ! რა მოვიმოქმედოთ, ხატზე დავიფიცოთ? გვეყო, დავიღალეთ, გავბეზრდით! შეგვიბრალეთ, ხალხი არა ხართ?!

იმათ ავკაცობაზე, მე პირადად, ამ ათიოდე წლის წინათ ავტეხე ხმაური და 2007 წელს გამოცემულ ლექსების კრებულში არაერთი „თავის დასაკარგი“ ლექსი გამოვაქვეყნე. ზოგიერთებივით ნაცებს კოვზი ნაცარში რომ ჩაუვარდათ, შემდეგ კი არ გავმიჯნივარ, არამედ მანამდე. თქვენ სად იყავით მაშინ? ზოგი თქვენგანი გვერდით ედექით მათ, ამხნევებდით და ყოველმხრივ ეხმარებოდით, გნებავთ, ადამიანთა წამებაში, უკანონო დაჭერებში, ფულის კეთებაში, უხამსობაში, თავის ქებაში. — ბოლოს და ბოლოს, რა ხდება, ქალბატონებო და ბატონებო, ათასობით უპოვარი და ხელმოკლე ადამიანით დასახლებული ქალაქის მერი შემწეობას, თანაც რა ოდენობის თანხით, თვეში ათი ათასი ლარის ხელფასის პატრონს რომ აძლევს, როგორ ფიქრობთ, მართლა ასეთი ბაიყუშები ვართ, ვერ ვხვდებით, რა ხდება ჩვენს თავს?

აბა, მეორე სირცხვილს სად გავექცეთ: აქაოდა, სხვა ქალაქიდან გადმოყვანილ საჯარო მოხელეს მთავრობამ უნდა გადაუხადოს ბინის ქირაო. სამართალსა და სხვათა ავ-კარგის ოფიციალურად განმკარგავი ბინას საკუთარი დედის სახლში, საკუთარი ფულით აშენებულ სახლში ქირაობს. ამისთანა საქციელებს რომ გამართლებას უპოვით, მართლა და მართლა, რატო არა ბრძანდებით ერთ ადგილას ამორტყმის ღირსები? სხვათა შორის, ფული და პოლიტიკა ტანდემი არსებანი გახლავთ და ბერძნული შეგონებისა არ იყოს, ქათმისა და კვერცხის გაჩენას წააგავს: არავინ იცის თურმე, რომელი გაჩნდა პირველად — ფული თუ პოლიტიკა? ქრთამი რომ ამ ორის ნაყოფია, ცხადზე უცხადესია. დიდმა ლიკურგემ, ლაკედონიის სამეფოს 40 წლის მმართველობა შეალია მექრთამეობასთან ბრძოლას. ოქრო და ვერცხლი, როგორც ფულის ერთეული, დაგმო და მათ ნაცვლად ქვები შემოიღო. მაგალითად, ძროხის ფასი, ხუთი კაცი რომ აწევდა, ისეთი წონის ქვა იყო, ერთი ხელადა ღვინო კი ღირებულებით, ერთი ვაჟკაცის საჯილდაო ქვას უსწორდებოდა.

ამაოდ გაისარჯა მორჭმული მეფე, როცა ორმოცი წლის შემდეგ თავისი მისია დამთავრებულად ცნო და ტახტი მომდევნო ხელმწიფეს გადაულოცა, მოგზაურობას შეუდგა. ერთი კვირის განმავლობაში დარწმუნდა, რომ მის სამეფოში 40 წლის ამაო ბრძოლის შემდეგ მექრთამეობა კი არ აკრძალულა, არამედ ახალ-ახალი ხერხებით გავრცელებულა... ლიკურგეს სასო წარეკვეთა და თავი მოიკლა. ეს ისე და არა იმისთვის, რომ ჩვენმა დიდკაცებმა მიბაძონ მას. ღმერთმა დაგვიფაროს, თორემ, რაც ნაცებმა 10 წლის, ხოლო ქოცებმა 4 წლის განმავლობაში „მაყუთი მოტეხეს“, ლიკურგეს სიზმარშიაც არ ექნებოდა ნანახი. დიახ, ასე გახლავთ ეს.

ახლა იმის შესახებ, გურიაში რომ იტყვიან, წაბაძულობით ვაცმაც იმაკაო, ის გახლავთ სწორედ, თორემ მიუხედავად ჩვენი ღირსების დაკნინებისა, ასე ღიად და აშკარად, ასე მოურიდებლად და თავდადებით არასდროს იბრძოდნენ დიდკაცნი ფულის შესაქუჩებლად. მართლა და მართლა, რა ხდება ხალხნო? ხელფასი თქვენ არ გყოფნით, პრემია და ხელფასის დანამატი. ამაოდ ირჯებით, ძვირფასებო. იმან, თქვენ ვისზეც სწორებას აკეთებთ, სხვა გზებით და მეთოდებით იშოვა მილიარდები. თქმაც არ უნდა, კატის გამზრდელი ლომისა არ იყოს, არა და არ გასწავლით მაგ ხერხებს დიდი ფულის პატრონი და დიდი ქველმოქმედი.

გეიგეთ?!

ასე თუ ისე, აგერ ქე მივუახლოვდით მთავარ სათქმელს. რასა და რომელსაო? — მკითხავთ. იმას, ჩემო კარგებო, მთავრობას რომ ხალხის არსებობის გახსენების ჟამი უდგება. სიკვდილის პირას მისულთ გროშებს რომ წაუგდებენ, დანარჩენებს ფორჩიან კანფეტს რომ ჩამოურიგებენ და სხვებს კიდევ (კარგად იციან ვისაც) კომბლებით დაუხეთქავენ თავ-პირს. მიხვდით, ალბათ, რაის მოახლოებაზე გელაპარაკებით? დიახ, დიახ, არჩევნებზე მინდა სიტყვის ჩამოგდება. ცოტა არ იყოს ,გამოცოცხლდნენ ბატონი პარტიოსნები. დაუამდათ ხმა, დაგვიტკბნენ, ალერსს და თავზე ხელის გადასმას გვიპირებენ, როგორ ვერ ხედავთ? აგი სამ-ნახევარი წელიწადი რომ კურსაცდენილ რაკეტასავით გაგვიქრა თვალსა და ხელს შუა, ხედავენ ისინიც და ახლა კუდს უნდა სტაცონ ხელი. ზოგი კიდევ ძველი მთავრობის გინებით გვიჭედავს ყურს, ზოგი აწი გვპირდება გაკეთებას. ერთი სიტყვით, ენა უძვლოა და რასაც უნდა იმას ათქმევინებ. ისინი კი ათქმევინებენ, მაგრამ, როგორ მოვიქცეთ ჩვენ? რა გზას დავადგეთ? ნაგინები და ნამუსშებილწული წინა მთავრობა ავირჩიოთ თუ სულაც უნამუსო მომდევნო? იქნებ, ახალგამოჩეკილებს მივანდოთ ბედი?

ეს იქით იყოს და, რას გვიქადიან ჩვენი უფროსი ძმები და თანამორწმუნეები? რატომ შესტკივათ, ამ დალოცვილებს, ასე ძალუმად ჩვენს არჩევნებზე გული? აგერ გუშინ ეუთოს ღონისძიებაზე არ იყო დუმის წარმომადგენელი ნიანგის ცრემლებს რომ აღვარღვარებდა, რა ქნას საცოდავმა რუსეთმა, უყუროს როგორ დახოცავენ ქართველები აფხაზებსა და ოსებსო?!. ჰოდა, ამის შემდეგ გაგიკვირდებათ, რომ „შეგვიბრალონ“ და დაიძრან, არიქა, ტანკები თუ არ მივაშველეთ, დახოცავენ ერთმანეთსო. სოხუმში არ უყრიათ ტანკები, ერევანში თუ აგერ ცხინვალში? ერთი პატარა განაცხადი უნდა ჩვენი მთავრობისაგან გულაჩუყებული რუსეთის აბოჟირებას. გასათვალისწინებელი და თავსატეხი ფაქტია ესეც. ამისთანა ამბები მოუჭახრაკებიათ ჩვენ უფროს ძმებს? ჩვენი თუ არ კმარა, აგერ აღმოსავლეთ უკრაინას გახედეთ, ცრემლმორეული უფროსი ძმა რომ „აშოშმინებს“. იგივე მდგომარეობაა ყირიმშიც. ჰოდა...

ასეა თუ ისე, თვალების ფართოდ გახელა და სიფხიზლე გვმართებს. გვეყოს უნდა გონიერება და ათასჯერ დაშვებული შეცდომა აღარ გავიმეოროთ. რუსეთთან ენის მოჩლექით მოსაუბრე ქართველებს თუ ავყევით, აგვიყვანენ ტყემალზე ბლის საჭმელად.

ხედავთ, რა დიდი საშიშროების წინაშე ვდგავართ? კომბალს არ გამოვიყენებთო, გვპირდებიან. არც პოლიციას მოგისევთო, გვაიმედებენ. პენსიები ხომ გაგიზარდეთ, ხმას თუ ჩვენ მოგვცემთ, დამატება და გაზრდა აწი იკითხეთო. საკუთარი ჯიბე თუ უმალ არ გაახსენდათ და ქვეყნის ბარაქა იქითკენ არ გააქანეს, ხომ კარგი. არადა, რაც თავისუფლებას ვეღირსეთ, მას შემდეგ ჩვენი მთავრობები სულ სათავისოდ ირჯებიან. სულ თავში 500-ლარიანი პენსიები გაიჩალიჩეს თავისთვის. მერე ხელფასები და მისი დანამატები ზარდეს. თქვით ახლა თქვენ, ფული ხელის ჭუჭყიაო. თუ მართლა ვერ არჩევენ, რატომ არ გადმოგვიყრიან ჩვენ თითო მომცრო შეკვრებს მაინც? რათა ჩვენც ვნახოთ, როგორი გემო აქვს ხელის ჭუჭყს. მაგრამ ნუ გეშინიათ, ჩვენი დიდკაცნი ასე არამც და არამც არ მოიქცევიან. ისინი იმდენად პატიოსნები კი ბრძანდებიან, ჭუჭყისა და ნაგვისაგან დაგვიფარონ. საერთოდ, ასე იქნება თუ ისე, ამას მომავალი გვიჩვენებს და ავი ზრახვისა და თვალისაგან უფალი დაგვიცავს, მაგრამ ჩვენ რა უნდა ვქნათ: ნაცნობი ჭირი ვარჩიოთ თუ შეჩვეული სიდუხჭირე? ახალი ავირჩიოთ თუ?.. რა თუ, ჩემო ბატონო, სიახლე დიდებული რამ გახლავთ, ყოველ შემთხვევაში აწი თუ არ წახდა, ჯერჯერობით, არა უშავს, კარგად გამოიყურებიან. ისე, ჩვენში რომ დარჩეს, ძალიან მიკვირს, სამყაროში ცნობილმა და სამშობლოში ღვთისნიერ კაცად მიჩნეულმა მომღერალმა, რავა გასწირა საპოლიტიკოსოდ თავი? ა, როგორი გადასაჭრელია, მსოფლიო ტაშს გიკრავდეს და შენი ხელით ყულფი ჩამოიცვა კისერზე? ალბათ, ნამდვილად სტკივა დედასამშობლოს ხვედრი, თორემ... ვერაფერს გეტყვით, ესეც თუ ფარსია და ვაინაჩრობა, ვინ ან რარიგად ჩააგონეს ასეთი რამ? კი ბატონო, სამი დღის ხელმწიფობისთვის ვიღაც მაღრიბელმა მავანმა ერთი კვირის წინათ მოკლული ლეკვი შეჭამაო, გამიგონია. როგორ ვიწამო, რომ სხვებზე ბატონობის ბანგი იმდენად მათრობელაა, იმის გულისთვის მსოფლიოს გზებზე გაფენილი მეგობრები და მოყვასები მიატოვო? გარდა იმისა, რომ სასწორზე ორი რამ დევს: პატიოსნება და ფული. რომელს ვცეთ თაყვანი ჩვენი გადასაწყვეტია და გემუდარებით, მიენდეთ საღი გონებითა და წრფელი გულით გამორჩეულს.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

**დავით ასკურავა**






## გიორგი კვირიკაშვილმა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი წარადგინა

**ჩვენ მაქსიმალური გავაკეთეთ ამ ოთხ წელიწადში იმისათვის, რომ ადამიანებს არ ჰქონოდათ მინიმალურ საკითხებზე საზრუნავი,** — აღნიშნული განცხადება პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ტყიბულში გააკეთა, სადაც რაიონულ ცენტრში შეკრებილ მოსახლეობას ტყიბულისა და თერჯოლის გაერთიანებული საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ელგუჯა გოცირიძე წარუდგინა.

**„ელგუჯა გოცირიძე გახლავთ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, რომელმაც ძალიან წარმატებული კარიერა განვლო. იგი არის პროფესიონალი თავისი საქმის. იგი გახლავთ ჩაჩავას კლინიკის გენერალური დირექტორი და დარწმუნებული ვარ, რომ ისევე, როგორც ამ სფეროში, იგი ძალიან წარმატებული ადამიანი იქნება პოლიტიკაშიც. იგი იქნება თქვენი ტკივილის და სიხარულის გამზიარებელი და თქვენი ხმის მიმტანი საქართველოს პარლამენტში. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და აღვნიშნო, რომ ის გზა, რომელიც ბატონმა ელგუჯამ განვლო, არის მართლაც ძალიან წარმატებული ადამიანის გზა“,** — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

მთავრობის მეთაურმა ადგილობრივ მოსახლეობას სიტყვით მიმართა და „ქართული ოცნების“ გუნდის მიერ ოთხი წლის განმავლობაში განხორციელებულ მნიშვნელოვან პროგრამებზე მიაწოდა ინფორმაცია. ტყიბულის მოსახლეობას სიტყვით ასევე მიმართა „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ.

## სალომე ზურაბიშვილი პარლამენტში უცხოეთში მყოფ ქართველებს დაიცავს



**სალომე ზურაბიშვილი საპარლამენტო არჩევნებში მთაწმინდაზე დამოუკიდებელ კანდიდატად იყრის კენჭს.**

როგორც ზურაბიშვილმა აღნიშნა, პარლამენტში ძირითადად უცხოეთში მყოფი ქართველების ინტერესებს დაიცავს.

**„ერთი ეს არის ის ინიციატივა, რომელიც ეხება მოქალაქეობას, უცხოეთში მყოფ ქართველებს. ერთი მხრივ, ბოლომდე მივიყვანოთ ის ინიციატივა, რომელიც მოიცავს საკონსტიტუციო ცვლილებას და ახალ კანონმდებლობას და მეორე — ბევრი სხვა საკითხები, რომლებიც ეხება ასევე უცხოეთში მყოფ ქართველებს, მათი ინტერესების დაცვას, მათთვის პირობების შექმნას დასაბრუნებლად ან ქართულ ეკონომიკაში ჩასართავად, მათი შვილებისთვის პირობების შექმნა, რომ არ დაკარგონ აქ ჩამოსვლის შესაძლებლობა“,** — აღნიშნა ზურაბიშვილმა.

მისივე თქმით, 8 აგვისტომდე ის მთაწმინდის ოლქში ხელმოწერებს შეაგროვებს, ხოლო შემდეგ შეხვდება ბიზნესმენებს, ვისგანაც შეიძლება მოიპოვოს ის ფინანსური დახმარება, რომელიც აუცილებელია კანდიდატისთვის. სექტემბრიდან კი, იგი უკვე მოსახლეობასთან შეხვედრებს გამართავს.



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №253

## ფალიაშვილების ოჯახი

# როგორ დაიკარგა ზაქარია ფალიაშვილის 20 სიმღერა...

ქუთაისში (XIX საუკუნის დასასრულ იყო პატარა წყნარი ქალაქი) ყველა იცნობდა ჩემს ბაბუას **პეტრე ივანეს ძე ფალიაშვილს** და მის არაჩვეულებრივ სიყვარულს მეუღლის მარიამ პავლეს ასული მესარქიშვილის მიმართ, რომელიც თავის ქმარზე 13 წლით უმცროსი იყო და ძლიერ უყვარდა ქმარს.

ბებიაჩემმა გააჩინა 18 შვილი, რომელთა შორის მე-17 იყო მამაჩემი ლევანი, ხოლო ასაკობრივი სხვაობა მასა და მის ძმას ზაქარიას შორის 24 წელს შეადგენდა.

ბაბუაჩემი **პეტრე** ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიაში მღეროდა, ხოლო მისი შვილებიდან ექვსი გახდა პროფესიონალი მუსიკოსი.

უფროსი **ივანე** – დირიჟორი, **ზაქარია** – კომპოზიტორი და დირიჟორი, **პოლიკარპე** – ქორმაისტერი, **გიორგი** – მუსიკისა და ფრანგული ენის მცოდნე – კონცერტმაისტერი. მათი ძმები **ანტონი** და **ნიკოლოზი** ექიმები გახდნენ, რაც არ უშლიდა მათ შესანიშნავად დაკვრაში: ანტონს – როიალზე, ხოლო ნიკოლოზს – ვიოლინოზე.

ნიკოლოზის ქალიშვილი **იულია** იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის სოლისტი (კოლორატურული სოპრანო), ხოლო მისი ქალიშვილები – ფსიქოლოგი **თინათინი** და ლინგვისტი **თამარი** – მშვენივრად უკრავენ როიალზე, ისევე როგორც ჩემი საკუთარი დის – **ნათელას** – შვილი **თემური**, თუმცა პროფესიით ეკონომისტია. ჩემი ძმის უფროსი ქალიშვილი **ნინო** კი კონსერვატორიის კურსდამთავრებულია.

მრავალშვილიანი ოჯახის არსებობის ერთადერთ წყაროს ზაქარიას პედაგოგიური საქმიანობა წარმოადგენდა. ამიტომ მთავარმა მარჩენალმა მოსკოვის კონსერვატორიაში სასწავლებლად გაღწევა მხოლოდ 29 წლის ასაკში მოახერხა.

რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ზაქარია ფალიაშვილი ფილარმონიული საზოგადოების გამგეობის წევრი გახდა და დაიწყო მსოფლიოს საუკეთესო საოპერო დადგმების ორგანიზება.

კონსერვატორია კი, უნდა ითქვას, მაინც არ დაუმთავრებია.

ზაქარიას ჰქონდა ენით აღუწერელი მონდომება ქართული ხალხური სიმღერების შემგროვებლობისა, მაგრამ ამ საქმიანობისთვის შეეძლო მიეძღვნა მხოლოდ საზაფხულო არდადეგები.

15 წლის განმავლობაში თითქმის მთელი საქართველო შემოიარა და სამასამდე სიმღერა ჩაიწერა. ნაწილი გადაამუშავა და გამოსცა კრებულების სახით, ნაწილი კი გამოუცემელი დარჩა. ამის შესახებ მოგვიანებით მოგითხრობთ.

ზაქარიას შესანიშნავი მეგობრები ჰყავდა. ქართული ისტორიული მეცნიერების პატრიარქთან, ივანე ჯავახიშვილთან აკავშირებდა საერთო ინტერესები. ისინი ხირად ხვდებოდნენ, ჩუქნიდნენ და უძღვნიდნენ ერთმანეთს თავიანთ ნაწარმოებებს და, რაც ძალიან დამახასიათებელია მაშინდელი დროისა და ურთიერთობებისთვის, – მრავალწლიანი მეგობრობის მიუხედავად, ყოველთვის თქვენობით მიმართავდნენ ერთმანეთს.

ლირიკულ ტენორთან **ვანო სარაჯიშვილთან** მეგობრობა კი დაიწყო ჯერ კიდევ მუსიკალურ სასწავლებელში, სადაც ვანო ვიოლონჩელოზე დაკვრას ეუფლებოდა, ხოლო ზაქარია ვალტორნისა და მუსიკის თეორიის კლასებში სწავლობდა. როდესაც მომღერალი მოულოდნელად გარდაიცვალა, უკვე გამოცხადებული სპექტაკლი **„აბესალომ და ეთერი“** არ გააუქმეს. **ზაქარიამ გადაწერა მისი ვოკალური პარტია ოპერაში, და სამგლოვიარო სპექტაკლი მიდიოდა სარაჯიშვილის გარეშე. ვანოს მაგივრად სცენაზე მოძრაობდა სინათლის სხივი, ხოლო აბესალომის პარტიას ემილ კაპელნიცკი ასრულებდა ვიოლონჩელოზე.**

არ შემიძლია, თავი შევიკავო და არ მოგითხროთ ტელევიზიით გაგონილი ერთი ისტორია. ზაქარია ფალიაშვილისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ დიდ გადაცემაში სახალხო არისტისმა ნოდარ ანდღულაძემ გაიხსენა ფაქტი მუსიკოს სამუილ სტოლერმანის შესახებ, რომელსაც ოპერა „აბესალომ და ეთერისთვის“ უნდა ედირიჟორა. თურმე მისმა ჭირვეულმა ცოლმა ოპერის ორი ხელნაწერიდან ერთ-ერთი დახია.

სტოლერმანს მოთმინების ფიალა აევსო. განრისხებულ ქმარს იმდენად ეშინოდა ცოლისა, რომ როდესაც სტაცა ხელი, მხოლოდ ის მოახერხა, რომ ლულა კარის ღრეჭოში შეჰყო და ისე გაისროლა.

მკვლელობისთვის დააპატიმრეს. შედგა სასამართლო. მენშევიკების მმართველობის დროს საქართველოში სიკვდილით დასჯა არ მოქმედებდა. ხოლო თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა თვრამეტ წელს შეადგენდა. სასამართლომ მენშევიკური პროკურატურის ასეთი ფორმულირების საფუძველზე ასეთი მოულოდნელი განაჩენი გამოიტანა:

„მიესაჯოს სასჯელის უმაღლესი ზომა და ჩაეთვალოს ის 18 წელიწადი, რომელიც განსასჯელმა მტარვალ მეუღლესთან ერთად გაატარა“.

დირიჟორი სასამართლოს დარბაზშივე გაათავისუფლეს.

* * *

ოთხი სეზონის განმავლობაში **„აბესალომ და ეთერი“** შესრულებული იქნა ასჯერ!!!

მე-100 წარმოდგენის დასრულების შემდეგ მსახიობებს გადასცეს ყველა სპექტაკლის მონაწილის სამახსოვრო ნიშნები. ისტორიას არ შემოუნახავს სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ადამიანის სახელი, რომელიც მაშინ მოულოდნელად წამოდგა მაყურებელთა დარბაზში და ასეთი ნიშანი თავისთვისაც მოითხოვა.

**დამამტკიცებელ საბუთად კი წარმოადგინა ასივე სპექტაკლის ბილეთი!**

* * *

რა თქმა უნდა, ისევე, როგორც ყოველ შემოქმედ ადამიანს, ქართული კლასიკური ოპერის ფუძემდებელსაც საკმარისი რაოდენობით ავის მსურველი ჰყავდა. ისინი ოპერა „დაისის“ სახელწოდებასაც კი იყენებდნენ კომპოზიტორის წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის ასამხედრებლად. ცდილობდნენ „საბჭოთა ხელისუფლების დაისზე“ მინიშნება დაენახათ მასში.

როგორც მამაჩემი მიყვებოდა, ერთხელ სასოწარკვეთილებამდე მისულმა ზაქარიამ გულდაწყვეტით წარმოთქვა: **„სულ ერთია, თქვენს დასაფლავებაზე მაინც ჩემს „თავო ჩემო“-ს დაუკრავენო“.**

მამიდა ჟანა საოპერო თეატრის რეჟისორის მიხეილ კვალიაშვილის მეუღლე იყო. ერთხელ, როდესაც მისი ქმარი ჯერ კიდევ არ გახლდათ გამოჩენილი თეატრალური რეჟისორი, მას, როგორც ახალგაზრდა ყმაწვილს, დაავალეს, შეეცვალა ავადმყოფი კონტროლიორი და თეატრში ბილეთები შეემოწმებინა. ყველაფერი ექსცესების გარეშე მიდიოდა, სანამ ძველებურ ეროვნულ კაბაში ჩაცმულ ერთ ხანდაზმულ ქალბატონს სპექტაკლზე უბილეთოდ მოხვედრა მოესურვა. სრულიად ბუნებრივია, რომ მიხეილი მას არ უშვებდა და უცებ ქალბატონმა იკითხა:

– შვილო, რა მოხდა, სტალინი უკვე მოხსნეს?

იმ დროს, როდესაც ამ სახელის გაგონებაზე ყველა ძრწოდა, დედაბერი ასეთ მკრეხელურ შეკითხვას სვამდა.



მამაჩემის ორ ძმას, **ივანესა** და **ზაქარიას** ცოლებად ჰყავდათ რიაზანელი დები უტკინები. ჭკვიანები და ლამაზები იყვნენ ლიდია და იულია. ჰყავდათ კიდევ ერთი და – ვავა, რომელიც ცოლად ჰყავდა წარმატებულ ფოტოგრაფ **კუვშინოვს**. ის რომ არა, ჩვენ არ გვექნებოდა ზაქარიასა და სხვა ფალიაშვილთა ოჯახობის ფოტოსურათები.

როცა ივანესა და ზაქარიას ქვისლი რიაზანში ცხოვრობდა და მდიდარი ადამიანი იყო, ძმებს აჩუქა ფული პიანინოს საყიდლად, რომელიც ძალიან სჭირდებოდათ. რევოლუციის წლებში კი კუვშინოვმა ყველაფერი დაკარგა და ძმებმა ფალიაშვილებმა მას ოჯახთან ერთად, თბილისში გადმოსახლება შესთავაზეს. ბიძაჩემ ვანოს – დირიჟორ ივანე პეტრეს ძე ფალიაშვილს, რომელიც 1922 წლამდე რუსეთის ყველა მსხვილ საოპერო თეატრში გამოდიოდა, შემორჩა დაფნის რამდენიმე გვირგვინი. რევოლუციამდე მეცენატები, როდესაც სურდათ ლამაზად და ტაქტიანად წაეხალისებინათ შემსრულებელი, გვირგვინს ჩუქნიდნენ. მახსოვს, ორი ასეთი გვირგვინი, რომელიც ბიცოლა ლიდას ოთახში კედელზე ეკიდა. **ომიანობის დროს, შიმშილისა და სიცივის წლებში, ბიძაჩემის ქვრივი გვირგვინებს თითო ფოთოლს ატეხდა და სავალუტო მაღაზია „ტორგსინში“ მიჰქონდა. ეს გვირგვინებიც და მათი ფოთლებიც ხომ წმინდა ვერცხლისგან იყო გაკეთებული!**

– რას ამბობ, ბებო, რას ამბობ! – ამოილუღლუღა ბიძაჩემმა.

– მე მისი დედა ვარ!..

მაშინღა გაახსენდა „კონტროლიორს“, რომ სტალინის დედა ცხოვრობდა ოპერის თეატრიდან 10 წუთის სავალზე, გრაფი ვორონცოვის სასახლეში. ხალხთა ბელადის დედა სპექტაკლს ბოლომდე დაესწრო. სავარაუდოდ, წარმოდგენა ისე მოეწონა, რომ კონტროლიორი სულ გადაავიწყდა და მომხდარის შესახებ არავის გაუგია... ყველა ნათესავი კი მიხეილის დაპატიმრებას ელოდა... ამის შესახებ მამაჩემმა მიამბო მხოლოდ 1956 წელს, კომპარტიის მე-XX ყრილობის შემდეგ...

მამაჩემი **ლევან პეტრეს ძე** – კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი უზომოდ ბედნიერი იყო, როცა 1962 წელს დაიდგა იაკობ გოგებაშვილის მოთხრობის მიხედვით შექმნილი მისი ოპერა **„იავნანა“**. მიღებული ჰონორარით შეძლო ეყიდა თავისთვის პიანინო, ხოლო ქირით აღებული ინსტრუმენტი დაებრუნებინა... მამამ მთელი ცხოვრება პედაგოგად იმუშავა და დაწერა ორი სახელმძღვანელო, რომლებითაც კონსერვატორიის სტუდენტთა არაერთი თაობა სწავლობდა.

ჩემმა ძმამ ვახტანგმა დაამთავრა მოსკოვის კონსერვატორია. იყო ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი დირიჟორი, ხოლო კონსერვატორიაში – საგუნდო სადირიჟორო კათედრის პროფესორი.

ჩემმა დამ ნათელამ წითელი დიპლომით დაამთავრა საქართველოს თეატრალური ინსტიტუტი და ჩაირიცხა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის დასში.

**ჩემმა ძმამ ვახტანგმა იპოვა და რედაქტირება გაუკეთა ზაქარიას 20 საგუნდო სიმღერას. მუსფონდის სტამბაში ააწყვეს ნოტები, მაგრამ ვერ გამოინახა ქაღალდი. ძმამ მთხოვა შევსულიყავი ერთ-ერთ მაგობართან მომარაგების სამმართველოში და შემეხსენებინა ამ საქმისთვის ქაღალდის საჭიროება. მეგობარმა უარით გამომისტუმრა. როდესაც ვახტანგი გარდაიცვალა, ნოტები ისევ დაუბეჭდავი იყო. შემდეგ ქვეყანაც დაინგრა, ანაწყობიც დაშალეს და ზაქარია ფალიაშვილის ეს 20 ნაწარმოები დაიკარგა...**

თავის დროზე, როდესაც კინოქრონიკის კინოოპერატორი ვიყავი, ერთ-ერთი ფილმის გადაღებისას შევედი ქართული სტუდიის საგარდეროებოში. კოსტიუმების გადარჩევის დროს ჩემი მზერა შეჩერდა შავ ფრაკზე, რომელსაც ქიმიური ფანქრით გაკეთებული ჰქონდა წარწერა **„ზაქ. ფალიაშვილის ფრაკი“**. რამდენიმე დღის განმავლობაში ვფიქრობდი, როგორ შეიძლებოდა ბიძაჩემის ფრაკი მოხვედრილიყო კინოსტუდიაში. გამახსენდა, რომ გამოვიარეთ მძიმე წლები, ომამდელი და ომისდროინდელიც და, სავარაუდოდ, ოჯახმა, რომელიც გაჭირვებულად ცხოვრობდა, ეს ფრაკი კინოსტუდიას მიჰყიდა. ეჭვები გავუზიარე მუსიკოსსა და შესანიშნავ ადამიანს **ვაჟა ჩინჩალაძეს**, ფალიაშვილის მუზეუმის დირექტორს, რომელიც მაშინვე დაუკავშირდა კულტურის სამინისტროს. ბალანსიდან ბალანსზე ფრაკი კულტურის სამინისტროს გადაეცა. ამჟამად ის ზაქარიას სახლ-მუზეუმში ჰკიდია.

**მე ბიძაზე გადავიღე ორი ფილმი**, ერთი ბიოგრაფიული, მეორე რეპორტაჟული – მისი დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიებები. სამწუხაროდ, არ აღმოჩნდა ის მცირე თანხაც, რომ 35-მილიმეტრიანი კინოფილმი დღეს თანამედროვე DVD დისკებზე გადაეტანათ.

* * *

ჩემი ძმა ვახტანგი ყვებოდა, რომ მას კულტურის სამინისტროში გააცნეს „ინტურისტის“ ხაზით ჩამოსული ორი გერმანელი, რომლებიც მან ფასანაურში გაასეირნა ხინკლის გასასინჯად. გზადაგზა სტუმრები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ მცხეთის, ჯვრის მონასტრისა და ანანურის მშვენიერებით. საღამოს ზაქარიას მუზეუმში მივიდნენ. ვაჟა ჩინჩალაძემ ფირსაკრავზე ოპერა **„დაისის“** ფირფიტა ჩართო და განმარტა, რომ მუსიკას ასრულებს ორკესტრი, მათი „მძღოლის“ ვახტანგის ხელმძღვანელობით... ორი კვირის შემდეგ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან მოვიდა შეტყობინება, რომ ოპერა „დაისმა“ ისეთი მოწონება დაიმსახურა, რომ საარბრიუკენის საოპერო თეატრის მთავარმა რეჟისორმა **ჰერმან ვედეკინდმა** (რომელიც ერთ-ერთი სტუმარი იყო) გადაწყვიტა თავის თეატრში დაედგა.

შემდეგ ვედეკინდმა თბილისში დადგა მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტა“. ასე გაჩნდა მეგობრობის ხიდი. ამჟამად საარბრიუკენში, საოპერო თეატრის წინ მდებარე მოედანს თბილისის მოედანი ეწოდება, ხოლო თბილისში ყოფილი ვორონცოვის, შემდეგ კი კარლ-მარქსის მოედანი, საარბრიუკენის სახელს ატარებს.

**ნოდარ ფალიაშვილი,**
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კინოდოკუმენტალისტი.

# ექვსი თაობის საგანძური

„პატიოსანი კაცის სახელის მეტს ვერაფერს ვუტოვებ ჩემ შვილებს და სანამ ეს ჩემზეა დამოკიდებული, ამ სახელს არ გავცვლი არც ჯამაგირზე, არც ჩინებსა და არც ორდენებზე“

დიმიტრი ყიფიანი.

გადის დრო, იცვლება ღირებულებათა ათვლის წერტილები, ათეული წლების მერეც საქართველოსთვის შეუხორცებელი ღია ჭრილობა – დიმიტრი ყიფიანის შუბლზე დაჩნეული, როცა ის სტავროპოლს გადასახლებული, ვერაგულად მოკლეს...

დიმიტრი ყიფიანმა (ფსევდონიმი „ბაქარ ქართველი“, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, მთარგმნელი), ცნობილია, რომ რუს ეგზარხოსს პავლეს ვერ აპატია ქართველი ერის დაწყევლა და მოსთხოვა დაუყოვნებლივ დაეტოვებინა ჩვენი სამშობლო. სხვათა შორის, მაშინ დიმიტრი ყიფიანი ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც ეს გაბედა...

სტავროპოლიდან ჩამოსვენებულ მის ნეშტს მამა დავითისკენ მთელი საქართველო აცილებდა.

**„მთაწმინდა ჩაფიქრებულა,**
**შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა,**
**მნათობი სხივებს მაღლით ჰფენს,**
**თავდადებულის საფლავსა“...**

(აკაკი).

* * *

**ქალბატონი თამარ მიქაძე, დიმიტრი ყიფიანის შთამომავალი, მწერალი და მეცნიერი, თავისი დიდი წინაპრის შესახებ უკვე მეორე კრებულის ავტორია.** 2009 წელს გამოცემულ ფოტოალბომს **„დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება და მოღვაწეობა“** წელს **„დიმიტრი ყიფიანი და მისი შთამომავალნი“** მოჰყვა. ეს გამოცემები უნიკალური გახლავთ იმ თვალსაზრისითაც, რომ მთლიანად დაყრდნობილია ყიფიანების საოჯახო არქივზე და ხელნაწერთა მდიდარი კოლექცია და იკონოგრაფიული მასალა სამომავლო, სერიოზული კვლევების საგანიც ხდება. ეპისტოლარული მემკვიდრეობა ამ კრებულის განსაკუთრებული ღირებულებაა. საოჯახო წერილები, დოკუმენტები, ადამიანთა რთული და უაღრესად საინტერესო ბიოგრაფიების ფონზე, მთელი ეპოქის რეალიებს გამოხატავს.

**„წმინდა მოწამის შარავანდქვეშ“** – ასე დაასათაურა **როსტომ ჩხეიძემ** კრებულის წინათქმა. „...დიმიტრი ყიფიანის შარავანდედიცაა მის შთამომავლობას რომ უნათებს გზას და ამ სხივებში რიალებს მათი კოლორიტული სახეები და სახელები, ჯერჯერობით – ექვსი თაობის, და ღვთით, ასევე უნდა გაგრძელდეს და კვლავაც შენარჩუნდეს ის სიმაღლე, დიმიტრი ყიფიანის შვილებმა ძირს რომ არ დაუშვეს თვალსაჩინო კვალის აღბეჭდვით... შესაფერისი პატრონობაც ესაჭიროებოდა ასეთ მდიდარ და მრავალფეროვან საოჯახო არქივს და ღირსეული გამომზეურებაც. მითუმეტეს, მკვეთრად აღიბეჭდა საზოგადოების ცნობიერებაში წიგნი-ალბომი დიმიტრი ყიფიანზე, რომლის პროექტიც თამარ მიქაძეს ეკუთვნოდა, ერთ-ერთ შთამომავალს წმინდა მოწამისა, მეცნიერსა და ბელეტრისტს...

შთამომავლობის მდინარება ხომ გრძელდება და გრძელდება... არა, დიმიტრი ყიფიანი ამ მხრივაც გამონაკლისთა შორის უნდა აღმოჩენილიყო!“.

* * *

კრებულის შედგენამდე ქალბატონ თამარს დიდი ტრაგედია შეემთხვა – დაეღუპა ვაჟი **ნიკა ისაკაძე**. დიდხანს ვეღარ უბრუნდებოდა სამეცნიერო მოღვაწეობას, სანამ მისმა მოძღვარმა, **დეკანოზმა მალხაზ ყიფიანმა,** რომელიც დიმიტრი ყიფიანის სახელობის ტაძრის აშენებას ხელმძღვანელობს, თავისი, როგორც სასულიერო პირის, აზრი შეჰბედა მგლოვიარე დედას:



დაესრულებინა კრებული „დიმიტრი ყიფიანი და მისი შთამომავლობა“ და საკუთარი შვილისთვის მიეძღვნა იგი...

მოძღვრის ეს სიტყვები გადამწყვეტი აღმოჩნდა, რასაც მადლიერებით იგონებს ქალბატონი თამარ მიქაძე.

კრებულსაც ასეთი მინაწერი ახლავს: **„ვუძღვნი ნიკოლოზ ისაკაძეს, ჩვენს ტკბილ დედაშვილობას“...**

გთავაზობთ ფრაგმენტებს თ. მიქაძის წერილიდან **„თამარ (ჯოია) ბაგრატიონი“.**

დაიბადა 1914 წელს. მისი მშობლები ევროპაში მოგზაურობდნენ. მამა ალექსანდრე ბაგრატიონი, ვინაიდან სამხედრო პირი იყო, სასწრაფოდ დაბრუნდა რუსეთში. დედა ფეხმძიმედ იყო თამარზე. მამა ბრძოლებში დაიღუპა. დედა – ნინო ყიფიანი ჩარჩა ქ. რომში და უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდა...

...მან გაიცნო ინგლისელი ლედი, „ლორდის მეუღლე“, ბრიტანეთის დედოფლის ვიქტორიას ახლო ნათესავი, შემდგომში თამარის მოამაგე ნათლია... ნინო და ეს მანდილოსანი დამეგობრდნენ.




თამარი წამოიზარდა. დააგროვეს გარკვეული თანხა და საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტეს. ფლორენციის ერთ მართლმადიდებლურ ეკლესიაში თამარი მონათლეს. ჩვენი ოჯახის არქივში შემორჩენილია პატარა თამარის სურათი ყელზე ნათლობის ჯვრით... თბილისში ნინო დიფტერიით გახდა ავად. საავადმყოფოს პალატაში კი ჭლექიან ავადმყოფთან მოხვდა და ეს სენი გადაედო. დედა-შვილმა გადაწყვიტა ქვიშხეთში წასვლა. ნინო იმდენად დასუსტებული იყო, რომ დააწვინეს ჩალადაგებულ ურემზე. მისთვის ეს მგზავრობა მძიმე გამოდგა...

თამარ ბაგრატიონი იგონებს: **„ერთხელ სასწრაფოდ მიმიყვანეს დედის სარეცელთან. დედამ კანკალით შემახო მისუსტებული ხელი და მოფერება დამიწყო... დედას ჩემს ალერსში ამოხდა სული. მერე კარგად მახსოვს, წვიმაში როგორ მიჰქონდათ კუბო. დაასაფლავეს იქვე, ქვიშხეთში.“**

ამ დროს ინგლისში მყოფი ნათლია ცდილობდა თამარის საქართველოში გადაყვანას, მაგრამ ეს რთული და სახიფათო აღმოჩნდა. ერთ-ერთი ოფიცერი დასთანხმდა თამარის გაყვანაზე და მათხოვრის ძონძებით და ყალბი საბუთებით კონსტანტინოპოლიდან საქართველოში შემოაღწია და მან ოჯახს ნათლიის წერილი გადასცა. მოიფიქრეს თამარის გაპარვის გეგმა. რვა წლის ბავშვი გაამზადეს სახიფათო მგზავრობისთვის.

...თამარი იზრდებოდა ინგლისში, სამეფო კარზე, ნათლიის ოჯახში. ნათლია იყო ლორდ ჯორჯ კერზონის, დიდი ბრიტანეთის ცნობილი საზოგადო მოღვაწის მეუღლე... თამარი გათხოვდა წარმოშობით ფრანგ შვეიცარიელზე, რომლის გვარი იყო მირონი და რომელიც ადრე გარდაიცვალა. შვილი არა ჰყავდათ. თამარ ბაგრატიონი ბოლო წლებში შვეიცარიის ქალაქ ლოზანის მოხუცთა თავშესაფარში ცხოვრობდა.

ტელეფონით დავუკავშირდით ქ-6 თამარს. იგი შეკითხვებზე პასუხს გაურბოდა. მაშინ მოვაგონეთ მისი ფოტოსურათი ნათლობის ოქროს პატარა ჯვრით, რომელიც შენახული გვქონდა, როგორც რელიკვია. უთხარით ისიც, რომ მისმა დეიდამ ვეტამ სიკვდილის წინ დაიბარა, არასოდეს შეგვეწყვიტა მისი ძებნა და რომ ნათესავებს ყოველთვის ახსოვდათ და ახსოვთ. ამის გაგონებამ უცებ შეცვალა ქალბატონი, ტელეფონში ისმოდა ქალბატონი თამარის ხმადაბალი ტირილი და მასთან ერთად ჩვენი ოჯახიც ქვითინებდა. იგი გულამოსკვნით ამბობდა, რომ სრულიად მარტოა და თუ ჯანმრთელობამ ხელი შეუწყო, წამოვა საქართველოში, ძალიან უნდა დედის საფლავის ნახვა ქვიშხეთში...

სამწუხაროდ, მალე შევიტყვეთ, რომ თამარ ბაგრატიონი მოხუცთა თავშესაფარში გარდაიცვალა. ქალბატონი, რომელსაც 80 წლის განმავლობაში ეძებდა ყიფიანების სამი თაობა...



სურათებზე: თამარ ბაგრატიონი; ნიკა ისაკაძე, თამარ მიქაძე, სულხან და სოფიო ისაკაძეები.

# თეა წულუკიანის წარბების გამო „რუსთავი-2“ გააკრიტიკეს

(პირველი გვერდიდან)

კვლევის ფარგლებში მოხვდა 12 ცენტრალური და რეგიონული რადიომაუწყებელი, სადაც ტენდენციურობის ყველაზე ნაკლები მაგალითები გამოვლინდა. საინფორმაციო გადაცემების ძირითადი დრო დაეთმო მთავრობის საქმიანობის გაშუქებას, პარტიებიდან კი „ოცნებასა“ და „ნაცმოძრაობას“, თუმცა, რადიოჟურნალისტები შემოიფარგლებიან მოკლე განცხადებით, რომელსაც პოლიტიკოსები აკეთებენ, ხოლო წამყვანის პოზიცია თითქმის არასოდეს არ ჩანს. რადიომსმენელი თავისუფალია არჩევანში, ვინაიდან არც ერთი პოლიტიკური გუნდის მიმართ განსაკუთრებული სიმპათიები არ მჟღავნდება.

რეკომენდაციაში მითითებულია, რომ რადიოში აქტიური ჟურნალისტიკის ნაკლებობაა. ნაკლებად ამზადებენ ანალიტიკურ მასალებს და მწვავე კითხვებიც არასოდეს არ ისმება.

* * *

რა ხდება პრესასა და ონლაინ მედიაში?

განიხილეს მხოლოდ რამდენიმე გამოცემა: **„რეზონანსი“, „ასავალ-დასავალი“, „ალია“, „ახალი თაობა“, „ქრონიკა +“, „გურია-ნიუსი“, ასევე რამდენიმე ინტერნეტ-გამოცემა.**

როგორც სამაუწყებლო მედიაში, პრესაშიც ძირითადად შუქდება „ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა, ხოლო სხვა პარტიის წარმომადგენელთა კომენტარებიც ძირითადად ამ ორი პარტიის შესახებ აზრს უკავშირდება. „რეზონანსმა“ და „გურიანიუსმა“ ყველაზე ობიექტური გაზეთების სახელი დაიმკვიდრეს, რადგან კვლევის თანახმად, სწორედ ისინი აშუქებენ ნეიტრალურად ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს.

რაც შეეხება ელისო კილაძის „ქრონიკა+“-ს, მას ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი განწყობა აქვს „ოცნებისა“ და ბიძინა ივანიშვილის მიმართ, შედარებით დადებითი – ნაციონალური მოძრაობის მიმართ. **„ამ გაზეთში ძალიან ხშირად აიკვიატებენ ხოლმე პიროვნებას და ზედიზედ რამდენიმე ნომერში მიდის მისი ლანძღვა. ხშირად შეხვდებით დაუსაბუთებელ მსჯელობებს, სუბიექტურ შეფასებებს, ეყრდნობიან საეჭვო წყაროებს, იყენებენ შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიებს“,** – აღნიშნა სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის წარმომადგენელმა გიორგი ჯოლოგუამ.

ინტერნეტ გამოცემებიდან „რეპორტიორი“ და „მარშალ.ჯი“ გამოირჩევიან ღიად გამოხატული უარყოფითი პოზიციით ნაციონალური მოძრაობის მიმართ. ირღვევა ჟურნალისტური ეთიკის ნორმებიც, შეინიშნება პლაგიატის ნიშნებიც, – ამბობენ ანგარიშის ავტორები.

* * *

აღმოჩნდა, რომ წინასაარჩევნო გარემოს გაშუქებისას ყველაზე არაობიექტური პრესაა, რადგან ტელევიზია, რადიო და ინტერნეტი მეტ-ნაკლებად ცდილობენ ობიექტურობის შენარჩუნებას. თუ არ ჩავთვლით „რუსთავი-2“-ს, რომელიც ღიად და საჯაროდ აცხადებს, რომ ის „ქართული ოცნებისა“ და მოქმედი მთავრობის დაუძინებელი მტერია...

შეიძლება თუ არა პრესის „გამოსწორება“. ჟურნალისტი **მათე კირვალიძე** ამბობს, რომ ამ კუთხით სკეპტიციზმი დიდია: **„მკითხველი სწორედ იმიტომ კითხულობს ამა თუ იმ გაზეთს, რომ მოსწონს სარედაქციო პოლიტიკა და შესაბამისად ენდობა. გაზეთი იმით იზიდავს აუდიტორიას, რომ პრინციპული მიდგომა აქვს ამა თუ იმ მოვლენის თუ პოლიტიკოსის მიმართ...**

**რაც შეეხება ორივე მხარის პოზიციის გაშუქებას, ანუ ბალანსს. რა ქნას ჟურნალისტმა, თუკი ერთმა მხარემ სატელევიზიო ზარებს არ უპასუხა, ან კომენტარზე უარი თქვა, მასალა რამდენ ხანს გააჩეროს?! პოლიტიკოსები არათუ ტელეფონში, ხშირად „ლაივში“ დასმულ კითხვებს გაურბიან!“**

თეა მოსია

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## ლინკოლნ მიტჩელი:

# უკრაინა მსოფლიოში ერთადერთი და ბოლო ქვეყანაა, სადაც სააკაშვილის პროპაგანდისა ჯერ კიდევ სჯერათ



**უკრაინული გამოცემა „ობოზრევატელი“ („მიმომხილველი“) აქვეყნებს კიევში, „უკრაინის მომავლის ინსტიტუტში“ ამერიკელი პოლიტტექნოლოგის ლინკოლნ მიტჩელის შეხვედრის ამსახველ მასალას, რომელიც ინტერვიუს სახითაა გადმოცემული.** იგი თავის თვალსაზრისს გამოხარტავს აშშ-ში მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიაზე, პრეზიდენტობის კანდიდატებზე და ა.შ. ლინკოლნ მიტჩელი საქართველოს მოვლენებსაც ეხება, საუბრობს საპარლამენტო არჩევნების ირგვლივ და ამბობს, რომ ძალიან ბევრი უკრაინელი საქართველოში მიმდინარე პროცესებს დამახინჯებულად აღიქვამს, არასწორ ინტერპრეტირებას ახდენს.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ამონარიდს ინტერვიუდან:

**— რას უნდა ველოდოთ საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე, რომელიც მიმდინარე წლის ოქტომბერში უნდა ჩატარდეს?**

— მე ახლახან დავბრუნდი ბათუმიდან, სადაც კონფერენციაში ვმონაწილეობდი და აი, რა შევნიშნე: ქართველები საკუთარ არჩევნებზე უფრო მეტად აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებით არიან დაინტერესებულნი და ეს გასაგებიცაა — მათ ამერიკული დემოკრატიის პერსპექტივა აინტერესებთ(...). საქართველოში არჩევნებამდე სამი თვით ადრე საერთო კლიმატი უფრო მშვიდია, ვიდრე ოთხი წლის წინათ. წინა საარჩევნო კამპანიების დროს (როგორც ცნობილია), ძალადობის პრეცედენტები იყო. ამის გათვალისწინებით, ყოველთვის არის იმის საფრთხე, რომ მთავრობა (მის ხელთ არსებული) მნიშვნელოვანი რესურსებით ისარგებლებს, საარჩევნო პროცესზე გავლენის მოსახდენად. მე არ ვამბობ, რომ ეს ახლა ხდება, თუმცა, საფრთხე ყოველთვის რჩება. ვფიქრობ, საქართველოში დღეს ისეთი საარჩევნო ატმოსფერო არ არის, როგორიც ამჟამად აშშ-შია. საქართველოში არ არიან ამა თუ იმ პარტიის მტკიცე მხარდამჭერები, თავიანთ პოზიციაში დარწმუნებულები, თაყვანისმცემლები, რომლებიც ამბობენ — „ამ არჩევნებზე ქვეყნის მომავალია დამოკიდებულიო“, ანუ ისეთი სიტუაცია არაა, როგორც, ვთქვათ, 2012 წელს იყო. საქართველოში არჩევნები ჯერ კიდევ პიროვნებების, პარტიების ირგვლივ კონცენტრირდება და არა მისიებისა და იდეოლოგიების ირგვლივ.

დღეს ბევრი სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგი მოწმობს, რომ პარტია „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“, პრაქტიკულად, თითქმის ერთნაირ დონეზე იმყოფებიან, მაგრამ ამერიკული არჩევნებისაგან განსხვავებით, ქართველების რაოდენობა, რომლებიც მხარს სამ ძირითად პარტიას უჭერენ, მხოლოდ 30-40% თუ იქნება. დანარჩენები ან სხვა უფრო წვრილ პარტიებს ემხრობიან, ან ჯერაც ვერ გაურკვევიათ, ვის მისცენ ხმა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოში შეიძლება ნამდვილად მრავალპარტიული სისტემა მივიღოთ. „ქართული ოცნებაც“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაც“ პროდასავლური პარტიები არიან, დანარჩენები კი უფრო სოციალურად კონსერვატიულები. სავარაუდოდ, „ქართული ოცნება“ თავის პოზიციებს განიმტკიცებს და კომპაქტურ უმრავლესობას ჩამოაყალიბებს. მეორე ვარიანტით — პირველად საქართველოს ისტორიაში, მთავრობა კოალიციური შეიძლება იყოს.

**— რა არის იმის მიზეზი, რომ უკრაინაში საქართველოში მიმდინარე მოვლენები არასწორად აღიქმება? უკრაინელთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ საქართველოში ბოლო ხანს მომხდარი სამთავრობო ცვლილებების შემდეგ ეს ქვეყანა უფრო პრორუსული გახდაო... თქვენ არაერთხელ დაგიწერიათ, რომ ეს ასე არ არის...**

— ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ ქვეყნის პროდასავლური მოძრაობა დააჩქარა. ფაქტობრივად, ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს უფრო მეტი მანძილი აქვს გავლილი, ვიდრე უკრაინას. თუმცა, ამის მიუხედავად, საქართველოში მიმდინარე პროცესებს უკრაინაში ხშირად მართლაც არასწორად აღიქვამენ. რატომ? იმიტომ, რომ უკრაინა მსოფლიოში ერთადერთი და ბოლო ქვეყანაა, სადაც მიხეილ სააკაშვილის პროპაგანდისა ჯერ კიდევ სჯერათ. მე ეს საკითხი ძალიან მაშფოთებს, რადგან მიმაჩნია, რომ კიევი ძალიან ბევრს მოიგებდა უკრაინა-საქართველოს თანამშრომლობით.

# სააკაშვილის ბევრი შეცდომის გამოსწორება საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას უხდება

**გავლენიანი ამერიკული გამოცემის „Forbes“-ის სტატიაში ვრცლადაა გადმოცემული კურორტ ანაკლიის შექმნის ისტორია და მისი თანამედროვე მდგომარეობა (ავტორი — უეიდ შეპარდი).**

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:

**„ათი წლის წინათ აქ თითქმის არაფერი არ იყო, მხოლოდ ძროხები და ღარიბი სოფელი“,** — ამბობს ანაკლიის განვითარების დირექტორი დავით კოდუა ჟურნალისტთან საუბარში, — „დღეს კი ანაკლია საქართველოს შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი დინამიურად განვითარებული კურორტია. აქ უკვე არის მდიდრული სასტუმროები, პლაჟები, აკვაპარკები...“.

**„რვა წლის წინათ ანაკლია საბრძოლო მოვლენების კერად იქცა, ქუჩაში რუსული ტანკები იდგნენ, მრავალმა ადამიანმა თავს გაქცევით უშველა... პაპაჩემი მოკლეს, ჩემი ოჯახი თბილისში გადავიდა საცხოვრებლად. ჩემი სახლი რუსმა დამპყრობლებმა და აფხაზმა სეპარატისტებმა დაიკავეს“,** — ამბობს იგი.

**2008 წლის ომი რუსეთსა და საქართველოს შორის, რომელიც სამხრეთ ოსეთში დაიწყო, საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ რეგიონზე - აფხაზეთზეც გავრცელდა,** — აღნიშნავს ავტორი და მკითხველისათვის საკმაოდ გასაგებად აღწერს აფხაზეთის კონფლიქტის პერიპეტიებს, აფხაზეთის დამოუკიდებლად გამოცხადებას (რუსეთის დახმარებით). ანაკლია უშუალოდ აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართანაა განლაგებული, მაგრამ რთული მდგომარეობის გამო საქართველოს მისთვის ზურგი არ უქცევია, პირიქით — ხელისუფლებამ მისი განვითარება სტრატეგიულ მიზნად დაისახა. ეს მოხდა მიხეილ სააკაშვილის — საქართველოს ქარიზმატული პრეზიდენტის მმართველობის პერიოდში, რომელმაც ანაკლიის მშენებლობა რკინის მუშტის ძალით დაიწყო. მან სოფლის მოსახლეობას მიწები კანონდარღვევით ჩამოართვა და ბევრი სხვა შეცდომა დაუშვა, რომელთა გამოსწორება დღევანდელ ხელისუფლებას უხდება.

ამჟამად ანაკლია სწრაფად ვითარდება. ძირითადი ინფრასტრუქტურა — სკოლები, ქუჩები, ხიდები, სასტუმროები და სხვა ობიექტები ათას ჰექტარ მიწაზეა გაშენებული. რასაკვირველია, ძროხებს ისევ შეხვდებით, მაგრამ ისინი ტალახიან გზაზე კი აღარ დადიან, არამედ ასფალტიანი კეთილმოწყობილი გზის განაპირას. ოდესღაც ღარიბ-ღატაკი ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონეც ამაღლდა.

ანაკლიის განვითარება აფხაზეთის სეპარატისტულ რეგიონთან ბრძოლის ერთ-ერთი ინსტრუმენტია — არა იარაღით, არამედ შენებით, აღორძინებით: **„როცა (აფხაზები) დაინახავენ, თუ როგორი პროექტები ხორციელდება, ჩვენდამი დამოკიდებულება გაუმჯობესდება. ისინი დაინახავენ, რომ აქ მუშაობაც შეიძლება და სწავლაც. შესაბამისად, აზრს შეიცვლიან“,** — ამბობს გიორგი ბოჭორიშვილი, „ჰუალინგ ჯგუფის“ მარკეტინგის ქართველი ხელმძღვანელი.

ავტორი მკითხველს აცნობს აგრეთვე ანაკლიაში ელექტრონული მუსიკის ფესტივალს, რომელიც პირველად შარშან ჩატარდა. ფესტივალი საერთაშორისო ხასიათისაა და ანაკლიის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ინვესტიციების მოზიდვის მიზნით (მსგავსი ფესტივალი სერბეთშიც ტარდება, სადაც ასობით მილიონი დოლარის მოგება მოაქვს ქვეყნის ეკონომიკისათვის).

2015 წელს ანაკლიას ასობით ათასი ტურისტი ეწვია. პერსპექტივა კიდევ უფრო ნათელი და მომგებიანია, თუ აბრეშუმის დიდი გზის ახალ პროექტს გავითვალისწინებთ: **„ანაკლიას გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, სტრატეგიული მდებარეობა აქვს — ევროპასა და აზიას შორის“,** — ამბობს დავით კოდუა ავტორთან საუბრისას. რადგანაც თვით საქართველოც ევრაზიის ცენტრში მდებარეობს, ანაკლიაში ღრმა საზღვაო ნავსადგურიც აშენდება, რომლის მეშვეობით ყოველწლიურად აზიიდან ევროპაში (და პირიქით) 100 მილიონი ტონა ტვირთი გაიგზავნება, დასაქმდება 8 ათასამდე ადამიანი. პორტის შემოგარენში 600 ჰექტარზე თავისუფალი სამრეწველო (ეკონომიკური) ზონა შეიქმნება — რიგით მესამე, ქუთაისისა და ფოთის ზონების ჩათვლით. **„ნავსადგურის განვითარება სხვა დარგების განვითარებასაც გამოიწვევს, მაგალითად, მომსახურების, ლოჯისტიკისა და ტურიზმის განვითარებას“,** — ასე ოპტიმისტურად ამთავრებს უეიდ შეპარდი სტატიას.

„FORBES“

# დედამიწის ზურგზე




### ინდოეთის სამხედრო თვითმფრინავი დაიკარგა

**ინდოეთის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინვი დაიკარგა ბენგალიის ყურესთან, როდესაც არახელსაყრელ ამინდაში ჩენნაიადან ანდამანსკისა და ნიკობარსკის კუნძულებისკენ (ესენი ინდოეთის შემადგენლობაში შემავალი ტერიტორიებია) მიფრინავდა. ინდოეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა უკვე დაიწყეს სამძებრო სამუშაოები.**

### ტრამპის საპროგრამო სიტყვა ხელთ მასმედიას ჩაუვარდა




**თავის მომხრეებთან გამოსვლისას ტრამპი ამ სიტყვით დაადასტურებს, რომ კვლავაც ერთგული რჩება თავისი ზოგიერთი მეტ-ნაკლებად რეზონანსული დაპირებისა. მაგალითად, ისეთისა, როგორიცაა მექსიკასთან საზღვარზე კედლის აშენება და აშშ-სთვის არამომგებიანი საერთაშორისო ხელშეკრულების გადახედვა, თანაც არა მხოლოდ ეკონომიკის სფეროში.**

### საიდუმლო ატომური ობიექტი აღმოაჩინეს

**აშშ მეცნიერებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების ინსტიტუტმა განაცხადა, რომ ამერიკელმა ექსპერტებმა ჩრდილოეთ კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში აღმოაჩინეს საიდუმლო ობიექტი, რომელშიც, შესაძლოა, მიმდინარეობდეს მუშაობა ატომური იარაღის შესაქ-**



**მნელად საჭირო ურანის გამდიდრებისთვის. ამ ინფორმაციას შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს ჩრდილოეთ კორეასთან ატომური იარაღის თაობაზე ნებისმიერი მოლაპარაკების წარმატებისთვის.**

### მინისტრმა, მაღალფარდოვნებას მოერიდეთო!

**ყაზახეთის გენერალურმა პროკურორმა ხელქვეითებს ურჩია, იკითხონ წიგნები ორატორული ხელოვნებისა და მენეჯმენტის შესახებ.**

**„მხოლოდ ასე შევძლებთ კომპეტენციის ამაღლებას და ერთ ენაზე ლაპარაკს“, — განაცხადა კაჟიპ ასანოვმა. მან თანამშრომლებს ასევე მოუწოდა, მოსახლეობასთან ურთიერთობისას თავი აარიდიონ მაღალფარდოვან ფრაზებს. „ხალხი ვერ გებულობს ჩვენს პასუხებს, თითქოს ჩვენ სხვა პლანეტიდან ვიყოთ“, — განმარტა გენპროკურორმა.**

### ასაკი სექსისთვის ბარიერი არ ყოფილა!

**76 წლის როჯერ აილზი, რომელიც დაარსების დღიდან 20 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა Fox News-ის არხს, თანამდებობიდან გადადგა მას შემდეგ, რაც არხის ყოფილმა წამყვანმა გრეთხენ კარლსონმა მას უჩივლა, სექსუალურ ურთიერთობაში ცდილობდა ჩემს დაყოლიებასო.**



# კისისხეველები

## შუამთის ქვეყანა


ქობულაშვილების გვიანდელი კომპლექსი


„ყველაწმინდა“ და „წმ. მიქაელი“

სოფელი კისისხევი... გვიანი შუასაუკუნეებიდან სოფელში კახეთის არისტოკრატიის დიდი ნაწილი იყო თავმოყრილი: **ჩოლოყაშვილები, ჯავახიშვილები, ბახუტაშვილები, ჩიჯავაძეები, ძაგანაშვილები (ძაგანის ძენი), კოზმანაშვილები, სვიმონიშვილები,** და რაღა თქმა უნდა, **ქობულაშვილები,** რომლებიც იქვე, წინანდალში მცხოვრებ ჭავჭავაძეებს მეტოქეობდნენ. ასე მაგალითად: ჭავჭავაძეები თუ დეკორატიული ტყეპარკის პატრონები იყვნენ, ქობულაშვილები ხილის უნიკალურ ბაღებს ფლობდნენ.

კისისხევში თავდაპირველად სწორედ ქობულაშვილების გვიანდელ ნასახლართან ვჩერდებით. დღეს ამ ტერიტორიაზე სკოლის შენობა, მცირე კოშკი და მიტოვებული ეკლესია დგას, სასახლისგან კი აღარაფერია დარჩენილი. 1922 წელს გ. ჩუბინაშვილს, ა. შანიძესთან ერთად, ეკლესიის დასავლეთ კარის თავზე უნახავს ონიქსის მცირე ფილაზე ამოკვეთილი სამშენებლო წარწერა. **ეკლესია ნათლისმცემლის შობის სახელობაზე1762 წელს აუგია ერეკლე II-ის მოძღვართმოძღვარ ნიკოლოზს — კახთა მეფის მდივნის ზურაბ ქობულაშვილის ძეს**. იმავე ხანებში ყოფილა აგებული კოშკიც. როგორც ვთქვი, კისისხევის ცენტრში მდებარე ეს კომპლექსი ქობულაშვილების გვიანდელი დანატოვარია. გაცილებით ადრინდელია ამ კომპლექსიდან ჩრდილოეთით, შუკის მეორე მხარეს, ლაფაურების ეზოში კარგად შემონახული და აღდგენილი **წმ. მიქაელის** ის დარბაზული საყდარი, რომელიც VI-VII საუკუნის ჯვარგუმბათოვან ტაძარზეა მიდგმული. „წმ. მიქაელი“ XVI საუკუნის საყდარია, რომელშიც ქობულაშვილების კრიპტაა.

XVI საუკუნე ქობულაშვილების კისისხევში დასახლებისა (თუ დაბრუნების?) თარიღია. ისინი ამ პერიოდში, კონკრეტულად კი 20-იანი წლების ბოლოს, გურიიდან კახეთში თან ჩამოჰყოლიან ლევან მეფის მეუღლეს თინათინ დედოფალს.

ქობულაშვილებს თავიანთი თავგადასავალი, — IX საუკუნის 80-იანი წლებიდან ახსოვთ. ეს ასახულია იოანე ბატონიშვილის ნაშრომში „აღწერა საქართველოს თავადაზნაურთა“. **ქობულაშვილთა უშორესი წინაპარი, რომელიც, თითქოს, ანისში ცხოვრობდა, სომეხთა ცნობილ მეფე-მთავარ სუმბატთან ერთად, გაქცევია აბულ-კასიმს დასავლეთ საქართველოში. ისტორიულად სუმბატის აფხაზეთში გაქცევა და შემდეგ მისი შეპყრობა დადასტურებული ფაქტია, მაგრამ ძველ წყაროებში მის გვერდით ქობულაშვილების წინაპრის ხსენება არ არის. სამაგიეროდ, „ქართლის ცხოვრებიდან“ კარგად არის ცნობილი XI საუკუნის შუახანებიდან დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ქვაბულისძეების დიდი ფეოდალური სახლი.** 1046 წელს ჭაჭა ქვაბულისძე და მისი ვაჟი ოთაღო ბაგრატ IV-ს ანაკოფიის ციხის ალყაში ეხმარებიან, ხოლო მოგვიანებით კიდევ ერთი ქვაბულისძე, სახელად ნიანია, „ქვეყანას აუშლის“ დავით აღმაშენებლის მამას — გიორგი-II-ს. როგორც ირკვევა, ამის შემდეგ აფხაზეთში, ანუ დასავლეთ საქართველოში, მცხოვრები ქვაბულისძეები ძველ დიდებას კარგავენ, თუმცა იოანე ბატონიშვილის ნაშრომის თანახმად, ისინი მაინც არ ქრებიან ასპარეზიდან და დაბა ქობულეთის დაარსებასაც კი ახერხებენ. ერთი სიტყვით, ვარაუდი, რომ ქობულაშვილების შორეული წინაპარი სომეხთა მეფე სუმბატთან ერთად გაიქცა, საკმაოდ წონადია. მაგრამ რამდენად რეალურია ქობულაშვილების ანისური წარმომავლობა? საქმე ის არის, რომ ქობულისძენი სუმბატის აფხაზეთში გაქცევმდე კარგა ხნით ადრე არიან ნახსენები „ქართლის ცხოვრებაში“ და თანაც დიამეტრიულად განსხვავებულ კონტექსტში: იოანე ქვაბულისძის ვაჟი ვაჩე (იგივე დაჩი) 827-839 წლებში კახეთის ქორეპისკოპოსი ანუ მთავარია და არაბებს წარმატებით ებრძვის. მაშასადამე, ვაჩეს მამა და პაპა კახეთში სულ მცირე VIII საუკუნიდან მაინც მოღვაწეობდნენ. აღსანიშნავია, რომ ვახუშტი ბატონიშვილი საქართველოს უძველეს მთავართა ჩამონათვალში ქობულისძეებს (ე. ი. ქვაბულისძეებს) სულ თავში ახსენებს და თანაც ასევე კახელი დონაურებისა და არევმანელების წინ, ხოლო შემდგომ სამცხის რიგით თავადებად წარმოგვიდგენს.

ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებასაც: სახელები ქვაბული და ქობული, ასევე მათგან ნაწარმოები გვარები ქვაბულისძეები და ქობულაშვილები იდენტურია, ხოლო სახელი ქობული უძველესი ქართული წარმომავლობის რომაა, ამას „მცხეთის ჯვრის“ ტაძრის წარწერაც ცხადყოფს. თავისთავად გასათვალისწინებელია ისიც რომ ყოველ სახელს წარმომავლობის სათანადო მიზეზი აქვს, „ქუაბი“ „ქვაბი“ და „ქობი“ კი (ისევე როგორც პარეხი) ძველად გამოქვაბულს ერქვა. რა უნდა აკავშირებდეთ ამ მხრივ ქვაბულისძეებსა თუ ქობულაშვილებს კისისხევთან, მომდევნო წერილში შევიტყობთ, ახლა კი არ დაგვავიწყდეს, რომ სოფლის ცენტრში, ლაფაურების კარ-მიდამოში ვიმყოფებით.

შინ მხატვარი გიორგი ლაფაური გვხვდება და „ყველაწმინდის“ კომპლექსთანაც იგი მიგვიძღვის. ამ კომპლექსში შემავალი XVI ს-ის „წმ. მიქაელი“, რომელშიც ქობულაშვილების საძვალეა, უკვე ვახსენეთ.

„წმ. მიქაელი“ ჩრდილოეთის კარით უკავშირდება VI-VII საუკუნის ტეტრაკონქის ტიპის ღვთისმშობლის ჯვარგუმბათოვან ტაძარ **„ყველაწმინდას“**. ეს ეკლესიაც კარგად შერჩეული რიყის ქვით აუგიათ. X-XI საუკუნეში გუმბათის ყელი ყვითელი შირიმის თლილი კვადრებით განუახლებიათ, აუმაღლებიათ და ზედ დეკორატიული თაღებიც გამოუყვანიათ. ცენტრალური კვადრატი, რომელშიც ამბიონი და კანკელია შემოჭრილი, შიგნიდან 7,5 კვ.მ-ია. სამხრეთ მკლავის აღმოსავლეთ კედელში და აბსიდის ორსავე მხარეს ნიშებია მოთავსებული.... გუმბათქვეშა კვადრატი ყელის წრიულ საფუძველზე ტრომპებით გადადის. გუმბათის ყელის დიამეტრი, სულ რაღაც, 2 მეტრია. გარედან ტაძრის სამ მკლავს ოდნავ შესამჩნევი სამწახნაგა ფორმა აქვს, ხოლო მეოთხე, აბსიდური მკლავი მკვეთრად ხუთწახნაგაა. როგორც ჩანს, XVI საუკუნეში, „წმ. მიქაელის“ ეკლესიის აგების პარალელურად, ქობულაშვილებმა ძველი ეკლესიაც მოახატვინეს ხალხოსან ფერმწერს. ფრესკათა ფრაგმენტები 1920-1923 წლებში უნახავს გ. ჩუბინაშვილს.

ქობულაშვილების მიერ თავიანთი საძვალე ეკლესიის მაინცდამაინც VI-VII საუკუნის ეკლესიის გვერდით აშენება კიდევ უფრო ამყარებს ვერსიას, რომ ისინი XVI საუკუნის მოახლშენეები კი არ უნდა ყოფილიყვნენ კისისხევში, არამედ 700 წლის შემდეგ დაბრუნებული ქვაბულისძეები — ის ქვაბულისძეები, რომლებიც „ყველაწმინდის“ ამგებნი თუ არა, პატრონები მაინც იქნებოდნენ და არა სომეხთა მეფე სუმბატის მორჩილი ანისელი ფეოდალები. დამატებით ისიც უნდა ითქვას, რომ კისისხევის თავადაზნაურთა ცნობილ გვარებში ქობულაშვილები თავიანთი მდგომარეობით აშკარად აღმატებულნი ჩანან.

რაკი კისისხევის სხვა ცნობილ გვარებზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მათგან მხოლოდ ორს ჰქონდა საკუთარი საყდარი. ორივე ეკლესია გვიანი შუასაუკუნეებით თარიღდება. ერთი მათგანი — **სიმონიანთ საყდარი** — სვიმონიშვილების უბანში დგას, მეორე — **ბახუტაანთ ეკლესია** — სოფლის სამხრეთ უბანში. ამ უკანასკნელს დიდი სამრეკლოც ამშვენებს. ეკლესია და სამრეკლო ადრე გალავნით ყოფილა შემოზღუდული, რასაც კედლის ერთი შემორჩენილი ფრაგმენტი ცხადყოფს.


„ღვთაება“

სოფლის ფარგლებში გვიანი შუასაუკუნეების კიდევ რამდენიმე ეკლესიაა. მათგან მოცულობითა და შესახედაობით ყველას ისევ ქობულაშვილების, კერძოდ კი, მდივანბეგ სვიმონ ქობულოვის მიერ 1806 წელს აგებული ღვთაების **ეკლესია** აჭარბებს. იგი ახალი აღდგენილია და მისი შემოგარენი კისისხეველების საყვარელი დასასვენებელი ალაგია. ყურადღებას იქცევს ე. წ. **„ფოშტის საყდარიც“**. ეს პატარა ეკლესია სოფლიდან სამხრეთით, ნახევარ კილომეტრში, მცირე ხევის თავზე დგას ტყეში.

„ფოშტის საყდრიდან“ კვლავ სამხრეთით ვაგრძელებთ გზას და ორ მეზობელ კორომში ორ მიტოვებულ საყდარს ვაწყდებით. მათ უცნაური სახელები ჰქვია — **„რიგის ეკლესიები“** და **„ქრისტეს ჯვრის ტვირთის“ ეკლესიები“**. ორივე ეკლესია თითქმის ერთი და იგივე ზომისაა და ორივე რიყის ქვითაა აშენებული. რა თქმა უნდა, არის განსხვავებებიც. პირველ მათგანს, რომელიც შედარებით ქვევით დგას, არაპროპორციული შიდა სივრცეები აქვს და თავკომბალას ჰგავს. მისგან ჩრდილოეთით, 15-20 ნაბიჯში შემორჩენილია აგურით აშენებული სამრეკლოს პირველი სართულის ნანგრევები. ოდნავ ზევით მდგარი მეორე ეკლესიის შიდა სივრცე პროპორციულადაა დაყოფილი პილასტრებით. გარდა ამისა, გადარჩენილია ქვის სამთაღიანი კანკელი და სარკმლის ქვეშ, აფსიდის კედელზე მიდგმული, აგურით ნაშენი ტრაპეზის ქვა. საყდრის გარე კედლების კუთხეები ამოყვანილია შირმის ქვით. გარდა ამისა, ეკლესიას „სერიოზულობას“ მატებს დასავლეთის კარიბჭე, რომლითაც სამლოცველოში შევდივართ. სავარაუდოდ, მასზე სამრეკლოს ფანჩატური უნდა ყოფილიყო შემოდგმული.

**გია ლაფაური გვეუბნება, რომ, ფოშტისა და რიგის ეკლესიებს შორის მანძილის გაზომვის შემდეგ, მასთან სტუმრად მყოფმა გერმანელმა მკვლევარმა საოცარი ჰიპოთეზა წამოაყენა: ეს მანძილები, თურმე, ზუსტად ემთხვევა იმ ადგილთა შორის არსებულ დისტანციებს, სადაც სულის მოსათქმელად ჩერდებოდა გოლგოთაზე მიმავალი მაცხოვარი.** ამ დასკვნამ შეუძლებელია, არ გაგაკვირვოს: ნუთუ ძნელბედობით გამორჩეული გვიანი შუასუკუნეების კახეთში სოფლის კალატოზებს ან თუნდაც მღვდლებს ასე დეტალურად, ნაბიჯ-ნაბიჯ ჰქონდათ შესწავლილი გოლგოთის გზა?..

**გელა ქოქიაშვილი,**
**ავტორის ფოტოები**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №119, 123, 127


„ბახუტაშვილები“


„ფოშტის საყდარი“


„რიგის ეკლესიის“ ინტერიერი

რიო-2016

# ოლიმპიური კონტურები




**ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში ზაფხულის XXXI ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის გამგზავრებასთან დაკავშირებული პრეს-კონფერენცია გაიმართა.**

ჟურნალისტებს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი, პირველი ვიცე-პრეზიდენტი, მისიის ხელმძღვანელი ელგუჯა ბერიშვილი და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი შეხვდნენ და მათ ოლიმპიურ სამზადისსა და ასევე საქართველოს დელეგაციის რიო-დე-ჟანეიროში გამგზავრებისა და სპორტსმენთა გრაფიკისა თუ სხვა დეტალების შესახებ სრული ინფორმაცია მიაწოდეს.

რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს 39 სპორტსმენი გამოვა (მათ შორის 9 ქალია), რაც სარეკორდო მაჩვენებელია. ისინი წარმოადგენენ სპორტის 13 სახეობას: ძიუდო (8 სპორტსმენი), თავისუფალი ჭიდაობა (6), ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (5), მძლეოსნობა (5), ძალოსნობა (3), მშვილდოსნობა (3), ტყვიის სროლა (2), ცურვა (2), ბატუტზე ხტომა (1), მხატვრული ტანვარჯიში (1), ფარიკაობა (1), ჩოგბურთი (1), კანოე (1).

ქართველ ოლიმპიელთა შორის 2 ოლიმპიური ჩემპიონია, 2 ოლიმპიური პრიზიორი, 4 მსოფლიოს ჩემპიონი, 19 ევროპის ჩემპიონი და პრიზიორი. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის გამოცდილება აქვს 12 სპორტსმენს. მერვე ოლიმპიადაზე გამოვა ტყვიის მსროლელი ნინო სალუქვაძე, მეოთხეზე — მშვილდოსანი ხათუნა ნარიმანიძე, მესამეზე — ძალოსანი რაულ ცირეკიძე, ბატუტზე მხტომელი ლუბა გოლოვინა და მშვილდოსანი ქრისტინე ესებუა. ოლიმპიური თამაშების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეა ნინო სალუქვაძის შვილი, 18 წლის ტყვიის მსროლელი ცოტნე მაჭავარიანი. ოლიმპიური თამაშების ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როცა სპორტსმენის სტატუსით ერთად იასპარეზებენ დედა და შვილი.

ოლიმპიურ სოფელში იცხოვრებს დელეგაციის — 76, სოფელს გარეთ — 6 წევრი. საქართველოდან თამაშებზე აკრედიტებულია 17 ჟურნალისტი და ოპერატორი. 5 აგვისტოდან ოლიმპიური თამაშებიდან პირდაპირ ტრანსლაციებს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი გადასცემს.

ქართველი ოლიმპიელები ფიცს დღეს 10 საათზე ოლიმპიური პარკის ტერიტორიაზე დადებენ. დელეგაციის წევრები რიო-დე-ჟანეიროში რამდენიმე ნაკადად, 26 ივლისიდან გაემგზავრებიან. რიოს ოლიმპიურ სოფელში საქართველოს დროშის აღმართვის ცერემონიალი დაგეგმილია 2 აგვისტოს 09:30 წუთზე, გახსნის ცერემონიალი კი 5 აგვისტოს სტადიონ „მარაკანაზე" ჩატარდება.

აღსანიშნავია, რომ, მინისტრის განცხადებით, საქართველოს მთავრობის სხდომაზე დამტკიცდა სამთავრობო დადგენილება საქართველოს სპორტსმენთა ხელშეწყობის შესახებ, რომლის თანახმად ქართველო სპორტსმენები 2016 წელს ნაჩვენები შედეგების (მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები, საერთაშორისო ტურნირები) მიხედვით სოლიდურ პრემიას (ჯამში 3. 800. 000 ლარი) ოლიმპიადაზე გამგზავრებამდე მიიღებენ, ოლიმპიურ თამაშებზე კი საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სახელწიფო პრემია შემდეგნაირად განისაზღვრა: 1 ადგილი 170. 000 ლარი, მე-2 ადგილი 102. 000 ლარი, მე-3 ადგილი 68. 000 ლარი.

საქართველოს დელეგაციის შემადგენლობა ზაფხულის XXXI ოლიმპიურ თამაშებზე

### ძიუდო

ამირან პაპინაშვილი — 60 კგ,
ვაჟა მარგველაშვილი — 66 კგ,
ლაშა შავდათუაშვილი — 73 კგ,
ავთანდილ ჭრიკიშვილი — 81 კგ,
ვარლამ ლიპარტელიანი — 90 კგ,
ბექა ღვინიაშვილი — 100 კგ,
ადამ ოქრუაშვილი + 100 კგ,
ესტერ სტამი — 70 კგ.
ირაკლი უზნაძე — მწვრთნელი,
დავით ასუმბანი — მწვრთნელი,
გიორგი ვაზაგაშვილი — მწვრთნელი.
დავით ქევხიშვილი — ფედერაციის პრეზიდენტი.

### მშვილდოსნობა

ხათუნა ნარიმანიძე,
იულია ლობჟანიძე,
ქრისტინე ესებუა.
თამაზ ფუტკარაძე — მწვრთნელი.

### ტყვიის სროლა

ნინო სალუქვაძე,
ცოტნე მაჭავარიანი.
ლევან ქადაგიძე — მწვრთნელი.

### ბატუტზე ხტომა

ლუბა გოლოვინა.
ვლადიმერ გოლოვინი — მწვრთნელი.

### მხატვრული ტანვარჯიში

სალომე ფაჟავა.
ლალი დოლიძე — ჯანტეზი — მწვრთნელი.

### ფარიკაობა

სანდრო ბაზაძე — ხმალი.
მერაბ ბაზაძე — მწვრთნელი.

### ძალოსნობა

ლაშა ტალახაძე +105კგ,
ირაკლი თურმანიძე +105 კგ,
გიორგი ჩხეიძე 105 კგ.
გიორგი ასანიძე — მწვრთნელი.
ავთანდილ გახოკიძე — მწვრთნელი.
კახი კახიაშვილი — ფედერაციის პრეზიდენტი.

### ცურვა

ირაკლი ბოლქვაძე,
თეონა ბოსტაშვილი.
ზურაბ ხომასურიძე — მწვრთნელი.

### თავისუფალი ჭიდაობა

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი — 57 კგ,
ზურაბ იაკობაშვილი — 65 კგ,
იაკობ მაქარაშვილი — 74 კგ,
სანდრო ამინაშვილი — 86 კგ,
ელიზბარ ოდიკაძე — 97 კგ,
გენო პეტრიაშვილი +125 კგ,
რევაზ მინდორაშვილი — მწვრთნელი,
არჩილ ქიტიაშვილი — მწვრთნელი,
ნუგზარ სხირელი — მწვრთნელი,

### ბ/რ ჭიდაობა

შმაგი ბოლქვაძე — 66 კგ,
ზურაბ დათუნაშვილი — 75 კგ,
რობერტ ქობლიაშვილი — 85 კგ,
რევაზ ნადარეიშვილი — 98 კგ,
იაკობ ქაჯაია — 130 კგ.
ბეგი დარჩია — მწვრთნელი,
ჯემალ ბაკურიძე — მწვრთნელი.
მანუჩარ კვირკველია — ფედერაციის პრეზიდენტი.

### მძლეოსნობა

დავით ხარაზიშვილი — მარათონი,
ბაჩანა ხორავა — სიგრძეზე ხტომა,
ბენიკ აბრამიანი — ბირთვის კვრა,
ლაშა თორღვაიძე — სამმაგი ხტომა,
ვალენტინა ლიაშჩენკო — სიმაღლეზე ხტომა.
ანდრო ბედუკაძე — მწვრთნელი,
დავით მანთიძე — მწვრთნელი.

### კანოე

ზაზა ნადირაძე.
კახაბერ ლომიშვილი — მწვრთნელი.

### ჩოგბურთი

ნიკოლოზ ბასილაშვილი.
სტეფენ კუნი — მწვრთნელი

### ადმინისტრაციული პერსონალი

ელგუჯა ბერიშვილი — მისიის ხელმძღვანელი,
მამუკა ხაბარელი — მისიის ხელმძღვანელის მოადგილე,
რუსუდან აფციაური — ადმინისტრაციული პერსონალი,
გიორგი ესაკია — ადმინისტრაციული პერსონალი,
ირაკლი დოლაბერიძე — ადმინისტრაციული პერსონალი,
ზურაბ ბაქრაძე — ადმინისტრაციული პერსონალი,
მარიკა კირვალიძე — პრეს-ატაშე,
ქეთი ოთარაშვილი — ტექნიკური პერსონალი,
ზურაბ კახაბრიშვილი — სამედიცინო პერსონალი,
გიორგი ჭინჭარაული — სამედიცინო პერსონალი,
დიმიტრი ბაღათურია — სამედიცინო პერსონალი
გიორგი მგელაძე — სამედიცინო პერსონალი,
თეიმურაზ მგელაძე — სამედიცინო პერსონალი
გიორგი მურცხვალაძე — სამედიცინო პერსონალი.

### ოლიმპიური სოფლის გარეთ

ლერი ხაბელოვი — სეოკ-ის პრეზიდენტი,
ტარიელ ხეჩიკაშვილი — სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი,
ემზარ ზენაიშვილი — სეოკ-ის გენერალური მდივანი,
აკაკი ლოდია — სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე,
შალვა გოგოლაძე — სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის მოადგილე,
რევაზ ჯაველიძე — სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის მოადგილე.

**ვიტალი ჯაფარიძე**

რა სიმდიდრე ნადგურდება

# ანტრაქტი – როდემდე?!

**მესამე სეზონია, რაც თბილისის ერთ-ერთი უმსხვილესი სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი „ლაგუნა ვერე" უფუნქციოდაა დარჩენილი.**

ობიექტი 2014 წლის მარტში დაიხურა. ეს გადაწყვეტილება ხელმძღვანელობამ იმ პერიოდში ობიექტის არამომგებიანობით ახსნა. კომპანიაში აცხადებდნენ, რომ კომპლექსს მუშაობა, საუკეთესო შემთხვევაში, 2015 წლის სეზონიდან უნდა განეახლებინა.

როგორც მაშინ კომპლექსის ხელმძღვანელი დავით ჩხეტიანი ამბობდა, ექსპლუატაციაში გაშვების დღიდან „ლაგუნა ვერეს" სარემონტო სამუშაოები ერთხელაც არ ჩატარებია, რის გამოც კომპლექსი სავალალო მდგომარეობაშია: მწყობრიდანაა გამოსული კომუნიკაციები და ფილტრები.

**„მილები ძალიან ამორტიზებულია, ძველი ტექნიკა თანამედროვე, გაცილებით გამძლე პლასტმასის წყალგაყვანილობით უნდა შეიცვალოს. უნდა გამოვძებნოთ წყლისა და ელექტროენერგიის მოპოვების ალტერნატიული საშუალებები, ასევე გვინდა მზის ენერგიის გამოსაყენებლად დანადგარების შეძენა. ჩვენ „ლაგუნა ვერეს" ტერიტორიაზე 15 წლის წინათ გაჭრილი ჭაბურღილის რევიზიაც ჩავატარეთ. მოპოვებული წყალი ვარგისიანობის დასადგენად ლაბორატორიაში წავიღეთ. რაც უფრო ბინძურია, მისი გაწმენდა მით უფრო მეტ ხარჯთანაა დაკავშირებული. ჭაბურღილიდან ალტერნატიული წყლის მოპოვება ბევრად შეგვიმცირებს გადასახადებს",** — აცხადებდა 2014 წელს კომპლექსის დირექტორი.



შევეცადეთ გაგვერკვია, იგეგმება თუ არა „ლაგუნა ვერეს" რეაბილიტაცია და რა ვადებში? როგორც ობიექტის მმართველ ფონდ „ქართუში" აცხადებენ, ობიექტზე ჯერჯერობით არანაირი სამუშაოები არ მიმდინარეობს. მათივე ინფორმაციით, თუ რა პროექტი განხორციელდება „ლაგუნა ვერეს" ტერიტორიაზე და შეუნარჩუნდება თუ არა მას პროფილი, ამის შესახებ საზოგადოებას თავად აცნობებენ.

**„ლაგუნა ვერეს" დახურვის შედეგად უმუშევრადაა დარჩენილი ობიექტის 300-მდე თანამშრომელი. მათი ნაწილი მიმდინარე წლის დასაწყისში აცხადებდა, რომ კომპლექსის დახურვის შემდეგ მათთან კონტაქტზე არავინ გასულა.**

2014 წელს თბილისის მერობის მაშინდელი კანდიდატი ნიკა მელია აცხადებდა, რომ ფონდი „ქართუ" საცურაო კომპლექს „ლაგუნა ვერესთვის" პროფილის შეცვლას გეგმავდა და კომპლექსის ტერიტორიაზე კორპუსის მშენებლობა იგეგმებოდა, ვინაიდან ინვესტორმა საცურაო აუზის კომპლექსი არამომგებიან ბიზნესად მიიჩნია.

შეგახსენებთ, რომ სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი „ლაგუნა ვერე" 1978 წელს გაიხსნა. წინასაოლიმპიადო სამზადისისა და ქართულის სპორტის მამების ბრაზილიურ ტალღაზე გადართვის გამო ამჯერად წერტილს აქ ვსვამთ.

გაგრძელება აუცილებლად იქნება.

**კობა კობახიძე**

დღესასწაული

# მარიამ ღვთისმშობლის ხატის „სამხელიანი“ დღესასწაული

**24 ივლისს დიდმოწამე ეფემია ყოვლადქებულის სასწაულის ხსენებაა.**

**25 ივლისს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესია დღესასწაულობს მარიამ ღვთისმშობლის ხატის „სამხელიანის“ დღეს.**

...წმინდა „სამხელიანი“ ხატის ისტორია შერწყმულია წმინდა იოანე დამასკელის ცხოვრებასთან. ცნობილია, რომ ლევ ისავარნის (ხატმებრძოლი) მეფობის დროს, VIII საუკუნეში, წმინდა იოანეს მოკვეთილი ხელი სასწაულებრივად გაუმთელა ხატმა.



წმინდა იოანე დამასკელი თავადის კარზე მნიშვნელოვან სახელმწიფო თანამდებობაზე იმყოფებოდა და თავადისა და ხალხის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. ბერძენმა იმპერატორმა ლეონმა მისი ბატონისადმი მიწერილ ეპისტოლეში იოანე დამასკელს ბრალი დასდო, თავადმა დაიჯერა ცილისწამება, თითქოს იოანე დამასკელმა წერილობით შესთავაზა ლეონ ისავარიანს, რომ იგი ბატონს უღალატებდა. საქმის გამორკვევის გარეშე თავადმა ბრძანა, მოეკვეთათ წმინდა იოანესთვის ხელი, რომლითაც მოღალატური წერილი დაწერა და ის მოედანზე, სხვების დასაშინებლად ჩამოეკიდათ. ხელი მოჰკვეთეს და მის შესარცხვენად გამოფინეს. საღამოს, დასჯის დღეს, წმინდა მოწამე იოანემ თავადს თავისი მეგობრების საშუალებით თხოვნა გაუგზავნა, რომელშიც ამბობდა: „გამრავლდა ჩემი ტკივილი და გამოუთქმელად მტანჯავს და შვებასაც ვერ ვიგრძნობ, სანამ სამარცხვინოდ გამოფენილ ჩემს ხელს არ მივიღებ“. მთავარმა შეიბრალა მოწამე და ბრძანა, ხელის მტევანი მისთვის დაებრუნებინათ. დადგა ღამე; წმინდა იოანე თავის სალოცავ ოთახში განმარტოვდა, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის და ყრმა ღმერთის ხატის წინაშე დაემხო, მოკვეთილი, მკვდარი ხელი მის წინაშე დადო და სრული სიყვარულითა და სარწმუნოებით, ცრემლითა და გოდებით ღვთისმშობელს შესთხოვა, რომ მართლმადიდებლობის დასაცავად და ხატმებრძოლობის დასამარცხებლად ხელი გაემთელებინა. იოანეს ჩასთვლიმა და სიზმრად ნათელი და მოწყალე თვალებით მისკენ მზირალი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახე იხილა: „აი, შენი ხელი, ახლა გაცოცხლდა, ნუ სწუხხარ, და შეასრულე ის, რაც აღმითქვი“.

იოანემ ყოველგვარი ტკივილების გარეშე გაიღვიძა და ნახა, რომ ხელი გამთელებოდა. ამ მადლმოსილი შეწყალების ნიშნად წმინდა იოანემ ვერცხლისგან ხელის მტევანი ჩამოასხმევინა და ის თავისი შუამდგომლის ხატს შესწირა, საიდანაც ხატმა „სამხელიანის“ სახელწოდება მიიღო.

**გიული ლიპარტია**

## სანთელი

**აფხაზეთის ა/რ მთავრობა და აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთიდან დევნილი, ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენის კავალერი, აფხაზეთის ომის მონაწილე, მხედრული მამაცობისათვის მრავალჯერ დაჯილდოებული**

**პეტრო გლუშკოვი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

# თურქეთში დაკავებულ საქართველოს მოქალაქეებზე ფიზიკური შეურაცხყოფა არ მომხდარა

ამის შესახებ თურქ პროკურორთან მარმარისში შეხვედრის შემდეგ საქართველოს კონსულმა ჯემალ გოგიტიძემ განაცხადა. კონსულის ინფორმაციით, დაკავებულებს სახაზინო ადვოკატები დაენიშნებათ.

**„ხმები ვრცელდება საქართველოში, თითქოს მათ მიმართ ადგილი ჰქონდა ფიზიკურ ზემოქმედებას, თითქოს ნაცემები იყვნენ. თურქულმა მხარემ კატეგორიულად უარყო ეს ყველაფერი. ჩვენ ასევე დავინტერესდით ქართულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, თითქოს მიმდინარეობს ზოგადად ამ რეგიონში და ქალაქ მარმარისში პოლიციის მხრიდან ზოგადად ქართველების შევიწროება, დაკავება და ასე შემდეგ. აღნიშნული ფაქტი კატეგორიულად უარყო თურქულმა მხარემ“,** — განაცხადა ჯემალ გოგიტიძემ.

# უბედური შემთხვევა გარდაბანში

**გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფელ ყარაჯალაში უბედურ შემთხვევას წლინახევრის ბავშვი ემსხვერპლა.**

არსებული ინფორმაციით, მცირეწლოვანი ოჯახის წევრებმა აბაზანაში გარდაცვლილი იპოვეს.

# სკანვორდი




# ნინო ბურჯანაძე: უნდა დაიხუროს ყველა ის სასწავლებელი, რომელიც შესაძლოა, უკავშირდებოდეს ფეთჰულა გიულენის სახელს

პარტია დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი ნინო ბურჯანაძე საქართველოში არსებული ყველა იმ სასწავლებლის მინიმუმ ერთი წლით დაუყოვნებლივ დახურვას მოითხოვს, რომლებიც შესაძლოა, ფეთჰულა გიულენის სახელს უკავშირდებოდეს.



**„მივმართავ საქართველოს ხელისუფლებას, რომ სასწრაფოდ მიიღოს ზომები და დახუროს ყველა ის სასწავლებელი როგორც აჭარაში, ასევე მთელ საქართველოში, რომელიც შესაძლოა, უკავშირდებოდეს გიულენის სახელს. ეს სასწავლებლები უნდა დაიხუროს, უნდა შეიქმნას სპეციალური სახელმწიფო კომისია, რომელიც გამოიძიებს ამ სასწავლებლებთან დაკავშირებულ საკითხს და ვიდრე საბოლოოდ არ გაირკვევა მათ მიმართ არსებული პრეტენზიის თაობაზე, სასწავლებლებს ლიცენზია უნდა შეუჩერდეს“.**

მისი თქმით, ის ახალგაზრდები, რომლებიც ამ სასწავლებლებში სწავლობენ, სხვადასხვა სასწავლებლებში უნდა გადანაწილდნენ.

**„ბუნებრივია, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ის ახალგაზრდები, რომლებიც ამ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებელებში სწავლობენ. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ეს ახალგაზრდები, მათი უფლებებისა და ინტერესების შელახვის გარეშე, გადანაწილდნენ სხვა სასწავლებლებში ისე, რომ მათი სასწავლო პროცესის განხორციელებას ხელი არ შეეშალოს“,** — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

# საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა არ შეიცვლება და არ დაბრუნდება მიზნობრივ ჯანდაცვაზე!

ამის შესახებ შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ჟურნალისტებს ექსპო ჯორჯიაში განუცხადა, სადაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ და მსოფლიო ბანკმა ღონისძიება სახელწოდებით „საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის პროგრესი და საერთაშორისო შეფასება“ გამართეს.

სერგეენკოს თქმით, დღეს არის საშუალება, რომ სამი წლის განმავლობაში ჯანდაცვის მიმართულებით გატარებული რეფორმები ერთიანად შეფასდეს ისეთი ყველაზე უფრო ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ, როგორიცაა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და მსოფლიო ბანკი.



**„მათ აქვთ ძალიან ნათელი, აღქმადი გზავნილები, რომლებიც არის ორი მიმართულებით. პირველი, რომ რეფორმა სწორია და მიმართულება, რომელიც ჯანდაცვის სისტემას აქვს აღებული, სწორია. ძირითადი მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია. რჩება გამოწვევები, რომელზეც ჩვენ გვექნება ძალიან დეტალური განხილვა“,** — განაცხადა დავით სერგეენკომ.

მინისტრმა აღნიშნა, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა არ შეიცვლება და არ დაბრუნდება მიზნობრივ ჯანდაცვაზე.

ღონისძიებას ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლები, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სამედიცინო საზოგადოება დაესწრო.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით გაიზარდა სახელმწიფო ხარჯებით დაფინანსებული სერვისების არეალი: 2012 წელს 41% იყო , 2015 წელს — 95%, შემცირდა ჯანდაცვაზე ჯიბიდან გადახდების წილი: 2012 წელს — 65% იყო, 2014 — 57%.

# თუკი პირს რომელიმე ქვეყანა თავშესაფარს აძლევს, მას ინტერპოლი ძებნილთა სიიდან იღებს

მმართველი გუნდის წევრ გია ვოლსკის ინფორმაციით, იგორ გიორგაძესა და თემურ ბასილიაზე საერთაშორისო ძებნის შეწყვეტა ინტერპოლის ახალმა შიდა რეგულაციებმა გამოიწვია. მისი განმარტებით, ინტერპოლმა შეცვალა შიდა რეგულაციები და თუკი პირს რომელიმე ქვეყანა თავშესაფარს აძლევს, მას ძებნილთა სიიდან იღებს.



**„რეგულაცია შეიცვალა, თუმცა არ შეცვლილა არაფერი იგორ გიორგაძის მიმართ საქართველოს საგამოძიებო სტრუქტურების დამოკიდებულებაში. მის მიმართ პრეტენზია კვლავ არსებობს“,** — აღნიშნა ვოლსკიმ.

ცნობისათვის, ინტერპოლის მიერ ძებნილი იგორ გიორგაძე და თემურ ბასილია ძებნილთა სიიდან ამოიღეს.

# დიზაინერი ზვიად ციკოლია პირველ ქართულ თვითმფრინავს ქმნის

**დიზაინერი ზვიად ციკოლია თვითმფრინავს აგებს და მის სერიულ წარმოებასაც აპირებს. ეს არის ერთადგილიანი თვითმფრინავი, რომელიც პირადი მოხმარებისთვისაა განკუთვნილი. რამდენიმე წლის წინათ დაწყებული პროექტის განხორციელების იდეა ფინანსების სიმცირის გამო შეფერხდა.** ახლა კი დიზაინერი ამ წამოწყების ბოლომდე მიყვანას აპირებს. გამოცემა „მარკეტერთან" საუბრისას მან ისაუბრა, თუ როგორ გაუჩნდა თვითმფრინავის აგების იდეა და რა გეგმები აქვს პროექტთან დაკავშირებით. დიზაინერი ამბობს, რომ თვითმფრინავი თანამედროვე მასალების გამოყენებით მზადდება, რომელიც უცხოეთიდან ჩამოდის. მისივე თქმით, ამ პროექტის მარტო გაკეთება რთულია, ამიტომ მეგობრებიც ეხმარებიან. ციკოლიას განმარტებით, თვითმფრინავი ერთადგილიანი, სპორტული და პირადი მოხმარებისაა. ამასთან, შეიძლება სხვადასხვა მისიაც დაეკისროს: თვითმფრინავი გამოსადეგი იქნება მოკლე მანძილებზე გადასაფრენად და საზღვრებზე პატრულირებისთვის. შესაძლებელია, სარეკლამო ფუნქციაც შეითავსოს და კომპანიის სარეკლამო ბანერები გაუკეთდეს.




რაც შეეხება ფინანსებს, პროექტის საწყისი კაპიტალი თიბისი ბანკმა გამოყო, რითიც ძრავი, სხვადასხვა კომპონენტები და ინსტრუმენტი შეიძინეს. შემდეგ ეტაპზე კი საკუთარი ხარჯებით გაგრძელდა თვითმფრინავის აწყობა. პროექტის დასრულება წლის ბოლომდე იგეგმება.

**„ზაფხულის პერიოდი მაქსიმალურად იქნება გამოყენებული, რადგან ტექნოლოგიური პროცესი სწორედ ზაფხულის პირობებს ითხოვს",** — ამბობს ციკოლია. მისივე თქმით, თვითმფრინავის აწყობის შემდეგ გამოჩნდება, რამდენად შესაძლებელია მისი სერიული წარმოება.

დიზაინერის განცხადებით, პირველი ქართული თვითმფრინავი არ გაიყიდება მხოლოდ საქართველოში, ორიენტირი გაკეთდება ჩრდილოეთ ამერიკის ბაზრებზე. ზვიად ციკოლია ამბობს, რომ კარგი იქნება, თუ მთავრობა მცირე ავიაციის განვითარებას უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობს და ხელს შეუწყობს ამ სფეროში წამოწყებულ სხვა პროექტებსაც.

**MARKETER-ის მასალების მიხედვით**

# გრიგოლ (გრიშა) ონიანი იუბილარია!



გამორჩეულ ლეგენდარულ პიროვნებას, კაცობის და ვაჟკაცობის ეტალონს, იოსებ სტალინის განსაკუთრებულ თაყვანისმცემელს, ბელადის შესახებ საინტერესო წიგნების ავტორს, ჩემს საყვარელ გრიგოლ დომენტის ძეს ვულოცავ დაბადების საიუბილეო თარიღს — 80 წლისთავს, ვუსურვებ მხნეობას, ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს ჩვენი ერის სადიდებლად.

სიყვარულით და პატივისცემით
**თენგიზ ქავთარაძე**




დაჩი ვაშაკიძე სერიოზული, დინჯი, ღონიერი ბიჭია. იგი 7 წლის გახდა და თავისი თვალებხატულა, ჰრანჭია დაიკოს, 2 წლის ბარბარეს მოსიყვარულე და მცველი რაინდია. ჩემო სიცოცხლეებო, გილოცავთ დაბადების დღეს, ჯანმრთელები, ბედნიერები, სულ ასე ლამაზები და მოსიყვარულეები ყოფილიყავით. გფარავდეთ ღმერთი თქვენ და თქვენს კეთილისმსურველებს.

სიყვარულით თქვენი ბაბუ და ბებო მამუკა და ინგა ვაშაკიძეები

# ძველი ხიდის ახალი სიცოცხლე

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ და მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსმა გივი კუბლაშვილმა მეტეხის ხიდის მიმდებარედ სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაათვალიერეს.



**„გამომდინარე იქიდან, რომ წლების განმავლობაში წყალი აზიანებდა აღნიშნულ მონაკვეთს, აუცილებელია მოხდეს ხიდის პანდუსის ერთი ნაწილის სრული რეაბილიტაცია. ამისთვის იხსნება საფარი, დამზადდება ხუთი ახალი კოჭი, შესაბამისად, ხიდის მდგრადობა მნიშვნელოვნად გაიზრდება, გახდება უფრო უსაფრთხო, კომფორტული და ის პრობლემები, რაც გადაადგილების თვალსაზრისით ჰქონდათ მძღოლებს, აღმოიფხვრება თავიდან ბოლომდე. ძალიან ინტენსიურ რეჟიმში წარიმართება სამუშაოები, რათა ზაფხულის პერიოდი გამოვიყენოთ მაქსიმალურად და სექტემბრის დასაწყისისთვის დავასრულოთ სამუშაოები,"** — განაცხადა დავით ნარმანიამ.

ხიდი გადახურულია რკინა-ბეტონის მონოლითური ფილით, რომელიც დასკვნის საფუძველზე მძიმე ავარიულ მდგომარეობაშია და რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციას საჭიროებს.

განხორციელდება არსებული რკინა-ბეტონის კონსტრუქციის დემონტაჟი და მის ნაცვლად მოეწყობა ახალი სახიდე გადასასვლელი (ახალი 4 ხიმინჯით). ასევე, მოხდება არსებული ქვის მოაჯირების დემონტაჟი (გაფართოვდება ტროტუარი) და მოეწყობა სავალი ნაწილის ჰიდროიზოლაცია. სამუშაოებს კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის დაკვეთით შპს „ენ-სი-სი" აწარმოებს და მისი ღირებულება - 404 919 ლარია. მდ. მტკვრის უბესთან არსებული ხიდის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია მიმდინარე წლის აგვისტოს ბოლოს დასრულდება.

# თბილისში ახალი ავტობუსები ეტაპობრივად შემოვა

ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა. **„როდესაც ახალი ავტობუსები დაიწყებს სექტემბრიდან ეტაპობრივად ჩამოსვლას, ჩვენ მათ მარშრუტებსა და განრიგებზე კვლევას ვაკეთებთ. შესაბამისად, მარშრუტების ოპტიმიზაცია ნამდვილად იქნება, რათა ახალმა ავტობუსებმა გამართული მარშრუტით იმოძრაონ. ეს ავტობუსები იქნება მნიშვნელოვნად კომფორტული როგორც კონდიცირების თვალსაზრისით, ასევე ბევრი სხვა თვალსაზრისით. ავტობუსები იქნება ადაპტირებული შშმ პირებისთვის",** — განაცხადა დავით ნარმანიამ.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001


**ავტორთა საყურადღებოდ!**
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

## ანეკდოტები

**ძალიან ხშირად** ჩვენი ბედ-იღბალი იმ ხალხზეა დამოკიდებული, ვინც საერთოდ არ იცის ჩვენი არსებობის შესახებ.

* * *

**სამაგალითო** ადამიანები, ზოგჯერ სხვა რამისთვის სრულიად გამოუსადეგარნი არიან.

* * *

**გამოუვალი** მდგომარეობიდან ერთადერთი გონივრული გამოსავალი მასთან შეგუებაა.

* * *

**თუ** ქალი მამაკაცს ყველაზე ჭკვიანს ეძახის, მაშასადამე, მშვენივრად იცის, რომ მეორე ასეთ სულელს ვეღარსად ვერ ნახავს.

* * *

**ფსიქოლოგის** დაკვირვება: სექსი დიდად უწყობს ხელს ინტიმური ცხოვრების გახალისებას.

* * *

— **მამიკო,** სკოლაში ერთმა ბიჭმა მითხრა, რომ ძალიან გგავარ.
— მერე, შენ რა უპასუხე?
— მაგისთვის რა უნდა მეთქვა, მთელი თავით ჩემზე მაღალია და თან კარატეზე დადის!..

* * *

**ცოლი** ეკითხება ექიმს:
— ექიმო, არსებობს თუ არა რაიმე იმედი?
— გააჩნია, ქალბატონო, გუნებაში რას გულისხმობთ.

# უცხოელი ნარკომანებიდა გვაკლდნენ

**შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1983 წელს დაბადებული, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე სონერ დ. აგარაში დააკავეს.**

**სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 49,73 გრამი ჰეროინი ამოიღეს.**


ყოველი ნომრის შეძენით თქვენ გადაარჩენთ 100 წლის „საქართველოს რესპუბლიკას"! გმადლობთ!


**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.348; ევრო - 2.586;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.098;
100 რუბლი - 3.612; თურქული ლირა - 0.763;
აზერბაიჯანული მანათი - 1.463;
1000 სომხური დრამი - 5.831

**ამინდი 23 ივლისისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +17, | დღე +33 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +16, | დღე +30 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +18, | დღე +32 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +15, | დღე +29 |
| თბილისი: | ღამე +21, | დღე +33 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE